პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 240 (20586) ◆ ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი 1989 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

დროის საზომით

გარდაქმნა-განახლების დინამიკური კანონების შესაბამისად სახეს იცვლის ჩვენი ცხოვრება, თითოეული ადამიანი და საზოგადოება მთლიანად. ათეულწლობით დაგროვილი ფიქრი და ზრახვა, რომელთა გუნებაში გავლებაც კი ადრე დანაშაულად ითვლებოდა, მწყობრ სისტემად ყალიბდება, ბორგავს და დღის სინათლისაკენ მიიწევს, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის შეუქცევადობის საიმედო წინაპირობად გვევლინება. შეხედულებათა პლურალიზმი, ერთი მხრივ, მოწმობს საზოგადოების იდეური ცხოვრების არნახულ გამდიდრებას, ხოლო მეორე მხრივ, თავისთავად გულისხმობს ალტერნატიულ და წინააღმდეგობრივ მოსაზრებათა მომრავლებას. მაგრამ ჭეშმარიტება ერთია და მასში წვდომის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა. აქ დაუშვებელია ლოდინისა და თავდაცვის ტაქტიკა, გადაუდებელი და მწვავე საკითხები მოითხოვენ დაუყოვნებლივ პასუხს და, რაც მთავარია, ასევე მყისიერ მოქმედებას.

დიახ, ერთა შორის დამოკიდებულების, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების გამწვავება დღის წესრიგში აყენებს უაღრესად მტკიცე და საგნობრივი მოქმედების, მთელი ძალების გააქტიურების ამოცანებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს პარტიის მონოლითურობისა და მებრძოლურობის ამაღლების მნიშვნელობა გარდაქმნის გაღრმავების პირობებში.

მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტჯგუფებში ჩატარებულმა წლევანდელმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ნათლად გვიჩვენა, რომ არნახულად ფართოვდება კომუნისტების თვალსაწიერი და სამოღვაწეო სარბიელი, კრებებზე ორატორები გაბედულად და საქმიანად აყენებდნენ საკითხებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ერის აწმყოსა და მომავლისათვის, წარსულის კრიტიკული შეფასება-გააზრებისა და წინსვლის უტყუარი გზების გამოძებნისათვის. დაუფარავად ითქვა იმის შესახებაც, რომ ეკონომიკური რეფორმა ნელა და გაჭირვებით მიიკვლევს გზას, ბევრგან სოციალურ სფეროს მხოლოდ სიტყვით ეთმობა განსაკუთრებული ყურადღება, ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას კვლავ ცვლის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები, დაბრკოლებას აწყდება ყველგან და ყველაფერში სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება.

დრო კი არ ითმენს. მზარდი და გართულებული ამოცანების შესაბამისად ახლა მთელი პირდაპირობით დგას საზოგადოების ყველაზე მოწინავე ადამიანებით პარტიის შევსების, მისი თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების ამოცანა. 1989 წლის 1 ივლისისათვის საქართველოს კომპარტიაში ირიცხებოდა 401015 კომუნისტი. წლის დასაწყისიდან მათი რაოდენობა გაიზარდა 1435 კაცით ანუ 0,4 პროცენტით. შარშანდელ ამავე პერიოდში ზრდა შეადგენდა 0,7 პროცენტს. რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციაში აღებულია პარტიის რიგების ფორსირებული ზრდის დაძლევის, პარტიაში არაკეთილსინდისიერი ადამიანების შეღწევის დაუშვებლობის კურსი. ახალი შევსების შერჩევასა და კომუნისტების განაწილებაზე შესამჩნევ ზეგავლენას ახდენს პარტიის სოციალური პოლიტიკის გააქტიურება, სწორედ ამის შედეგად შენარჩუნებულია მატერიალური წარმოების სფეროში ახალი ძალების თანამიმდევრული მოსვლა, იზრდება აგრეთვე სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიღება პარტიაში. ამასთან, ბოლო ორი წლის მანძილზე გამოიკვეთა პარტიის რიგებში მუშების მიღების შემცირების ტენდენცია. საერთოდ ახალი შევსების სოციალურ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებზე ზეგავლენას ახდენს, ერთი მხრივ, მიღების მკაცრ რეგლამენტირებაზე უარის თქმა და შერჩევისადმი უფრო მომთხოვნი მიდგომა, ხოლო, მეორე მხრივ, მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში უპარტიო აქტივთან მუშაობის შესუსტება.

კვლავ პრობლემად რჩება პარტიული რიგების სიწმინდის დაცვა. წლის პირველ ნახევარში პარტიის რიგებიდან გარიცხულ წევრებსა და კანდიდატებს შორის 58,4 პროცენტი მოდის სოციალისტური კანონიერების სხვადასხვა სახის დამრღვევებზე, 13 პროცენტი — ლოთებზე, ხულიგნებსა და სხვა უზნეო საქციელის ჩამდენებზე, 11,1 პროცენტი — პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევებზე, 9,9 პროცენტი — პარტიული დოკუმენტების დამკარგველებსა და პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტილებზე.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ გახშირდა კომუნისტების მიერ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, პირველადს ორგანიზაციებში განცხადებების შეტანა პარტიიდან გასვლის შესახებ და პარტიული დოკუმენტების ჩაბარება. 1989 წლის პირველ ექვს თვეში ასე მოიქცა პარტიის 340 წევრი და წევრობის კანდიდატი. ეს მაჩვენებელი 1987 წელს იყო — 25, შარშან —29. წლევანდელი გასულების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ზუგდიდის საქალაქო, ოზურგეთის, ხაშურის, ყაზბეგის, დუშეთის, ქარელის, ბოლნისის, ამბროლაურის რაიონულ ორგანიზაციებზე. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მოვალეობაა პარტიული დოკუმენტების ჩაბარებასთან დაკავშირებით კომუნისტთა პერსონალური საქმეების განხილვის დროს არ დაუშვან გათანაბრებითი მიდგომა, თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში შექმნან მაღალი მომთხოვნელობის ვითარება, დაწვრილებით გაერკვნენ ყველა დეტალსა და გამომწვევ მიზეზში, მოთმინებითა და ყურადღებით მოეკიდონ იმ კომუნისტებს, რომლებმაც გადაცდომა დაუშვეს ემოციის გავლენით. მეორე მხრივ, ეს გარემოება ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ საჭიროა თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ პარტიის სახელსა და ავტორიტეტს, ვაკეთოთ მხოლოდ სახალხო საქმე, სათავეში ჩავუდგეთ პროგრესისა და სიკეთისაკენ მიმართულ მასობრივ მოძრაობას.

ამ გზაზე მთავარია პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა, პატიოსნება და გულწრფელობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

იწყება ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში. როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ საჭიროა ბოლო მოვუღოთ ფორმალიზმს, სწავლების პროცესის ცხოვრებისაგან მოწყვეტას, შაბლონითა და ერთხელ გათლილი ყალიბით მოქმედებას. სურვილის სფერო აქაც დამაიმედებელია, მაგრამ პრაქტიკა და საბოლოო შედეგი ხშირად სრულებით საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. დიახ, შარშანაც ტარდებოდა მეცადინეობები პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში, ხორციელდებოდა ღონისძიებები პროპაგანდისტთა კადრების დახელოვნებისათვის, ვასახელებდით მოწინავეებსა და ჩამორჩენილებს, ვაქებდით ერთს და ვკიცხავდით მეორეს, ერთი სიტყვით, ცხოვრება ჩვეულებრივი ყაიდით მიემართებოდა, მაგრამ შედეგი ერთობ არაჩვეულებრივი და შემაძრწუნებელი მივიღეთ. რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონში გამწვავდა ვითარება, უმართავი გახდა მეტად არასასურველი პროცესები, რასაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. ყოველივე ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, კაპიკის ფასი აქვს პროპაგანდისტულ და მთელ იდეოლოგიურ მუშაობას. არადა, ყველაფერი ფასდება მხოლოდ ფაქტებით და რეალური ვითარებით, ხოლო შემოდგომაზე კარგი მოსავალი რომ მოვიმკათ, კეთილი სურვილები სრულებითაც არ კმარა. საჭიროა ადამიანებზე, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფსა და ფენაზე ზემოქმედების მწყობრი მექანიზმის ამოქმედება, მუდამ მართალი გზით სიარული, ნამდვილი მოქალაქეობრივი გამბედაობა მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული საკითხების გადაწყვეტისას, ზნეობრივი და სულიერი თვითგანწმენდა და თვითამაღლება. ყოველივე ამის გარეშე სიტყვას არ მოჰყვება საქმე, რაც უეჭველი მარცხის წინაპირობაა.

შეხედულებათა მრავალფეროვნება, აზრის გაბედულად გამოთქმა, საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგად უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღება შეუქცევადი პროცესია და წინსვლის სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს, მაგრამ ეს როდი გვათავისუფლებს იმ საზოგადოებრივი და შინაგანი პასუხისმგებლობისაგან, რომ საჭიროა საკუთარი პოზიცია ყოველმხრივ ავწონდავწონოთ, ღრმად დავასაბუთოთ, გავითვალისწინოთ ყველა შესაძლო გართულება, ვეძებოთ ოპტიმალური გზები და საშუალებანი პრობლემათა ლოგიკური და თანამიმდევრული გადაჭრისათვის. ამასთან დაკავშირებით მთელი ძალით ისმის დაპირისპირებათა საფუძველზე საზოგადოებრივი აზრის სინთეზისა და მისი მეშვეობით ძალების კონსოლიდაციის ამოცანა. წინააღმდეგ შემთხვევაში პლურალიზმი იქცევა თვითმიზნად და იგი ვერ შეასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას, ვერ მოგვევლინება ერთიანობის საწყისად. არადა, თანამედროვე გართულებულ ვითარებაში მხოლოდ საერთო და შეკავშირებულ მოქმედებას ძალუძს აღთქმული მიზნის მოახლოება. პირად წყენასა და ამბიციას, მოვლენებისადმი სუბიექტურ მიდგომას არ შეიძლება გასაქანი მივცეთ მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დგას მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ძირეული გარდაქმნის, წარსულის კრიტიკული გააზრების, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის, ერის აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებული საარსებო მნიშვნელობის საკითხები.

ბოლოდროინდელმა ამბებმა ბევრ რამეზე აგვიხილეს თვალი და მწარე გამოცდილება სასარგებლო გაკვეთილი უნდა გახდეს. ფაქტია, რომ მრავალი ნაკლი და პოზიციის დათმობა განაპირობა პოლიტიკურ მუშაობაში არსებულმა ხარვეზებმა, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შესუსტებამ, ქვეყანასა და პარტიაში მიმდინარე დინამიური პროცესებისაგან ჩამორჩენამ. ხშირად პარტორგანიზაციები განზე დგანან ახალსა და დრომოჭმულს შორის გაჩაღებული ბრძოლისაგან. აქტიურად არ გამოდიან მათ წინააღმდეგ, ვინც აფერხებს გარდაქმნის დაჩქარებას. ეს კი დროისაგან ჩამორჩენას ნიშნავს.

როგორც საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტშია აღნიშნული, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უთუოდ უნდა გახდეს და გახდება კიდეც თვისებრივად განახლებული, ახალი დროის შესაბამისად გარდაქმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მთელი შესაძლებლობითა და აღმაფრენით მოემსახურება ხალხის კეთილდღეობის არსებით ამაღლებას, ეროვნული განვითარების სფეროში მდგომი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტას. ობიექტურად სულ უფრო აუცილებელი გახდება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შიგნით საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მიაღწიოს დამოუკიდებლობის გაფართოებას, თავისთავადობის დამკვიდრებას.

დღეს პარტიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც თავისი მსოფლმხედველობით, აზროვნებითა და ცხოვრების წესით ნამდვილად შეეფერება მაღალ საწესდებო იდეალებს, იმის ნათელ მაგალითს უჩვენებს მშრომელთა მასებს, თუ როგორ უნდა ვემსახუროთ მშობელი ხალხის ინტერესებს, როგორ ვნერგავთ ჩვენში და ჩვენს გარშემო სიკეთისა და გონიერების საწყისებს, როგორ ვუწყობთ ხელს სოციალურ წინსვლასა და ზნეობრივ სრულყოფას.

მაშ, ვიყოთ ამ დიდი მოწოდებისა და ამოცანების ღირსი, წმინდად დავიცვათ პარტიის წევრობის სახელი, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს, კამათსა და დიალოგში გამოვკვეთოთ ყველაზე თამამი სათქმელი, ყველაზე საიმედო სამოქმედო გზა, ერთგულად ვზიდოთ საზოგადოებრივი და ეროვნული ჭაპანი დროის მოთხოვნათა შესაბამისად.

მოვლენათა ქრონიკა

მანქანები ვიეტნამისათვის

ბათუმი (საქ. კორ.). ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი საწარმოა, სადაც ჩაის ფაბრიკების სრული აღჭურვილობა მზადდება. აქ წარმოებული მანქანები იგზავნება საქართველოს მეჩაიეობის რაიონებში, კრასნოდარსა და აზერბაიჯანში, აგრეთვე საზღვარგარეთაც.

როგორც ცნობილია, ვიეტნამი ჩაის მწარმოებელი ქვეყანაა. ახლახან მათ გაუგზავნეს ჩაის ფაბრიკების აღჭურვილობა და სპეციალისტები, რომლებიც დაეხმარებიან მის დამონტაჟებაში, ამუშავებასა და ექსპლოატაციაში.

საერთოდ ვიეტნამის რესპუბლიკაში ბათუმიდან ყოველწლიურად იგზავნება აგრეგატები, კვანძები და სხვა მექანიზმები. ასე მოხდა წლეულსაც — უკვე გაიგზავნა 8 როლერი.

თავისთვისაც, ქალაქელებისთვისაც

თბილისის მიდამოებში მდებარე საქართველოს სახაგრომრეწვის დიდების მეურნეობამ დაამზადა 270 ტონა თივა და 70 ტონა ნამჯა, რითაც სავსებით უზრუნველყო თავისი თავი საკუთარი წარმოების უხეში საკვებით. ეს მის მშრომელებს საშუალებას მისცემს ზამთრის პერიოდში გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება.

მეურნეობა, რომელიც შეიქმნა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის ორი ზარალიანი — დიდების საბჭოთა მეურნეობისა და კოკეთის დამხმარე მეურნეობის ბაზაზე, მიზნად ისახავს გაადიდოს კვების პროდუქტების წარმოება და რიტმულად მიაწოდოს იგი ქალაქელებს. ამ მიზნით აქ უკვე შეუდგნენ სარწყავი ქსელის რეკონსტრუქციას საკვები და სხვა სავარგულების მოსარწყავად, შეაკეთეს და დაათბუნეს ორი ფერმა, სადაც უვლიან 290 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, 300 ღორსა და 6 ათას მოქცეულს. გადაწყვეტილი აქვთ უკვე გაისად აქედან გააგზავნონ სულ ცოტა 30 ტონა რძე და 50 ტონა ხორცი.

— ამავე დროს შევუდექით სოციალური საკითხების გადაწყვეტასაც, — თქვა დიდებელთა ხელმძღვანელმა ვანო ოქრუაშვილმა, რომელიც ამ თანამდებობაზე ორივე მეურნეობის კოლექტივმა აირჩია. — პირველი მოგებისთანავე — მოგება კი, როგორც ეკონომისტებმა გამოიანგარიშეს, ამ წლის დამლევს გაჩნდება — კეთილმოვაწყობთ სოფელ დიდებას, გავიყვანთ გზებს, მოვაგვარებთ განათებას.

მეურნეობის სოციალური პრობლემების გადაჭრისა და ეკონომიკის განმტკიცების პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადაიდგა: ავაშენეთ აბანო, დავიწყეთ სათბურების აგება სეზონებს შორის ბოსტნეულის წარმოებისათვის და ასე შემდეგ. (საქინფორმი).

პარლამენტის ძნელი დღე

საქდესის კორესპონდენტები კრემლიდან გვატყობინებენ

ძნელი სათქმელია, რამდენი დეპუტატი გამოვიდა სესიაზე სამშაბათს. დილის ათი საათიდან საღამოს ხუთ საათამდე უმაღლესი საბჭო განიხილავდა სსრ კავშირში საკუთრების შესახებ კანონის პროექტს. ზოგიერთი მიკროფონთან ორ-სამჯერ მივიდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც გამოდიოდა ან სიტყვას ითხოვდა ცნობისათვის დისკუსიის ყველა ეტაპზე. ზოგჯერ უძნელდებოდათ ზუსტი ფორმულირების პოვნა. და თუმცა ზედმეტი ემოციებიც იფეთქებდა ხოლმე, მაგრამ უკვე ჩვენ პარლამენტში ჩამოყალიბებული მუშაობის სტილი მაინც ყოველთვის სიძნელეების დაძლევის საშუალებას იძლეოდა.

უჭირდა **ა. ი. ლუკიანოვსაც**, რომელიც მთელი დღის განმავლობაში თავმჯდომარეობდა სესიას.

მართლაც, ახალი საბჭოთა პარლამენტის სამუშაო მაგიდებზე ჯერ კიდევ არ იყო დოკუმენტი, რომელიც ესოდენ ტევადად და მრავალმხრივ მოიცავდა საბჭოთა საზოგადოების განახლების ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების მთელ სპექტრს — დაწყებული ქვეყანაში ხელისუფლების შესახებ საკითხით და დამთავრებული მიწის პატარა ნაკვეთზე ხელისუფლების შესახებ საკითხით.

ალბათ შეიძლება გამოვყოთ კამათის ორი მთავარი მტკივნეული წერტილი. პირველი—კანონის ლექსიკაში და, მაშასადამე, საზოგადოებრივი პრაქტიკის ენაში „კერძო საკუთრების“ ცნების შემოღების დაშვების საკითხი. მთელი რიგი ორატორების აზრით, ტექსტში ამ ტერმინის უქონლობა ნაკარნახევია მხოლოდ და მხოლოდ „დოგმატიკური მორცხვობის“ მოსაზრებებით. კერძოდ, დეპუტატმა **ა. ა. დენისოვმა** დამსწრეთ მოუწოდა მოეშვან „სოციალურ პირფერობას და კეკლუცობას“, მან ყურადღება მიაპყრო პროექტის პირველი განყოფილების დებულებასა და 31 მუხლს შორის არსებულ წინააღმდეგობას, რომელთაგან პირველი გამორიცხავს სსრ კავშირში ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის შესაძლებლობას, მეორე კი ეხება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მესაკუთრე უცხოელთა უფლებებს. „ნუ გვაშინებს კერძო საკუთრება“, მოუწოდა სესიის მონაწილეებს დეპუტატმა **ს. ს. სულაქშინმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ დოგმატიზმმა ჩვენი სახელმწიფო არათუ „კაცობრიობის პროგრესის შარაგზის პირას დატოვა, არამედ საერთოდ გარიყა კიდეც“.

ასეთი იდეოლოგიური თავისუფლების მომხრეებს შეეკამათა დეპუტატი **ნ. ს. პეტრუშენკო**. იგი შიშობს, „რომ კერძო შრომითი საკუთრება“ პრაქტიკაში გამოიწვევს ფარული ეკონომიკის საქმოსანთა ხელში სახალხო საკუთრების გადასვლას.

დეპუტატმა **ა. ა. სობჩაკმა** ურჩია მოდავე მხარეებს ყურადღებით მოეკიდონ პროექტის აწონდაწონილ ფორმულირებებს, რომელიც ამკვიდრებს მოქალაქეთა საკუთრების თანასწორუფლებიანობას მის სხვა ფორმებთან. საშუალება მისცენ ამ ფორმულებს გაიარონ შემოწმება რეალური ეკონომიკური ცხოვრებით.

მანვე წამოაყენა კონკრეტული წინადადება, რომელიც, აუდიტორიის ტაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლებელს გახდის უფრო კონსტრუქციული კალაპოტით წარიმართოს დისკუსია მეორე კარდინალური საკითხის გამო: „ვინ უნდა ფლობდეს მიწას, მის წიაღისეულსა და ბუნებრივ რესურსებს?“ ამას, მიაჩნია დეპუტატს, უპასუხებს პროექტის 22 მუხლის ახალი დებულება: „მიწა და მთელი ბუნებრივი სიმდიდრე წარმოადგენს იმ ხალხის ეროვნულ საკუთრებას, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს“.

ლ. ა. არუთინიანის, გ. ა. პოღოსიანის, რ. ა. არშბას, ე. დ. აიპინის და სხვა დეპუტატების გამოსვლები გამსჭვალული იყო შეშფოთებით იმის გამო, რომ შესაძლოა შეილახოს ავტონომიურ ფორმირებათა მოსახლეობის, მრავალი ეთნიკური ჯგუფის უფლებები თავიანთი წინაპრების მიწის ფლობელობაზე. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, „იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროექტის ავტორებმა, რომლებსაც სიტყვაც კი არ დასცდენიათ ამ უფლებაზე, გაიზიარეს ყველაფერი, რათა ავტონომიები პირში ჩალაგამოვლებული დაეტოვებინათ“, სხვები, არცთუ იმდენად კატეგორიული მსჯელობისას, გამოთქვამდნენ შეშფოთებას იმის გამო, „რომ დოკუმენტის ზოგიერთი მუხლის დებულებები არ შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამედროვე პლატფორმას ეროვნულ პოლიტიკაში“. ამავე დროს როგორც „ავტონომიების“ წარმომადგენლები, ისე ისინიც, ვინც მათ სოლიდარობს, ვერ დააკმაყოფილა რესპუბლიკური საკუთრებისა და მიწისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების სარგებლობისა და განკარგვის წესის შესახებ მუხლის ვერც პირველმა, ვერც მეორე ვარიანტმა.

ერთი სიტყვით, როგორც დეპუტატმა **პ. გ. ბუნიჩმა** განსაზღვრა, ის, რომ კანონპროექტი ოთხმოცდაათი პროცენტით არის მზად, კიდევ არ არის საბაბი იმისა, რომ სრულიად უყოყმანოდ [illegible] მივიღოთ ის დოკუმენტთა დოკუმენტი. [illegible] ეს მხოლოდ ავტონომიურ ფორმირებათა უფლებების საკითხის დაზუსტება, ტერმინოლოგიის პრობლემა, მხოლოდ საკავშირო და რესპუბლიკური საკუთრების შეფარდების რეგლამენტაცია როდია. ეს არის კანონის პროექტში გამოცხადებული უფლებების უფრო ზუსტი გარანტიების აუცილებლობა, პრაქტიკაში მისი დანერგვის იურიდიული მექანიზმების შემუშავება.

როგორ მოვიქცეთ? ამის თაობაზე წამოაყენეს სხვადასხვა წინადადება. კერძოდ, ვისარგებლოთ „ჩარჩოებში მოქცეული“ კანონმდებლობის დასავლური გამოცდილებით (რომელიც საშუალებას იძლევა, კანონის გამოცდის მერე კვლავ „მივუბრუნდეთ მას გარკვეული დროის შემდეგ) და მივიღოთ კანონი პირველი წაკითხვით, დავხვეწოთ პროექტი და გამოვიტანოთ იგი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ამ ვარიანტს ბევრმა დაუჭირა მხარი. დეპუტატი **ლ. ი. სუხოვი**, მაგალითად, დარწმუნებულია, რომ საჭიროა მოეწყოს საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი საკუთრების საკითხებზე. თავისი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მან მოიყვანა ისტორიული მაგალითები, რომლებიც ცხადყოფს, საქმის გაჯანსაღების, მშრომელთა აყვავების ზემოთ გამოწერილი რეცეპტები როგორ იწვევდა ზოგჯერ დეკლარირებული მიზნების პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგებს.

დისკუსია მეტად ცხარედ მიმდინარეობდა. ყოველ მხარეს თავისი არგუმენტები ჰქონდა. მთავრობის თვალსაზრისი დღეს გამოთქვა მისმა მეთაურმა **ნ. ი. რიჟკოვმა**.

მან აღნიშნა, თუ რა დიდი და სასარგებლო მუშაობაა გაწეული მის დასახვეწად კომისიებსა და კომიტეტებში, და თქვა, რომ უმაღლესი საბჭო მიუახლოვდა მნიშვნელოვან მიჯნას — საკითხის გადაწყვეტას, რომელიც მრავალი წლით წინასწარ განსაზღვრავს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებას. ჩემი აზრით, ხაზგასმით აღნიშნა მან, ეს კანონი უმეტესწილად არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც პოლიტიკური ხასიათისაა. სწორედ ამ პოზიციიდან უნდა მივუდგეთ მას. მკაფიოდ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორ სახელმწიფოს ვიხილავთ ხუთი-ათი წლის შემდეგ, ნახევარი საუკუნის შემდეგ. ძლიერსა და მძლავრს — ფედერაციულს. ეს

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ს. გორბაჩოვისა და ვ. ბრანდტის შეხვედრა

17 ოქტომბერს მ. ს. გორბაჩოვი და ვილი ბრანდტი ერთხელ კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს დიალოგი, რომელიც გრძელდება, მათი საერთო შეფასებით, მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნისათვის, პარტიებისა და მოძრაობებისათვის, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, იგი საჭიროა მთელი ევროპისათვის.

თანამოსაუბრეებმა მოკლედ გაუზიარეს ერთმანეთს აზრები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მ. ს. გორბაჩოვის ამასწინანდელი ვიზიტის მნიშვნელობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ურთიერთობის მდგომარეობის, კერძოდ, მოსკოვში ფ. ებერტის სახელობის ფონდის წარმომადგენლობის საქმიანობის შესახებ, განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ სოციალისტური ინტერნაციონალისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კონტაქტების გაღრმავებას. საბჭოთა კავშირში მზად არიან გაისად მიიღონ სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაცია, რათა განიხილონ არა მარტო მშვიდობისა და განიარაღების, არამედ, შესაძლოა, მსოფლიო ეკონომიკისა და ეკოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და საინფორმაციო პროცესების, ჩრდილოეთ-სამხრეთის პრობლემების, სოციალიზმისა და მთლიანად ცივილიზაციის პერსპექტივების შესახებ რეგულარული აზრთა გაზიარების ფორმები და თემატიკა.

შეეხო რა სოციალისტური იდეის ბედს, მ. ს. გორბაჩოვმა აღძრა საკითხი, რომ დასავლეთის გარკვეულ წრეებს სურთ სოციალისტურ ქვეყნებში ახლა მიმდინარე მოვლენები წარმოადგინონ სოციალიზმის და თვით ამ იდეის კრახად. სინამდვილეში, ეს არის მისწრაფება ვიპოვოთ სოციალიზმისათვის ოპტიმალური პასუხი დროის გამოწვევაზე. გამოეხმაურა რა ამ შეფასებას, ვ. ბრანდტმა თქვა, რომ ისტორიული თვალსაზრისით ახლა უფრო ახალ დასაწყისს ვხედავთ.

სოციალიზმის შემდგომი განვითარება, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, წარმოგვიდგენია თანამედროვე ცივილიზაციის საერთო განვითარების კონტექსტით, სხვა საზოგადოებებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების იმ გამოცდილების ათვისებით, რაც მისთვის მისაღებია და ემსახურება ადამიანს. აქ, ბუნებრივია, მოგვიწევს დიდი თეორიული, პოლიტიკური, კულტურული მუშაობა.

სოციალ-დემოკრატიასთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის გამოცდილება უკანასკნელ ხანს მოწმობს, რომ დაწყებულმა შინაარსიანმა და გულახდილმა დიალოგმა, იმ ვითარებაში, როცა ყოველი ერთგულობს თავის ღირებულებებს, შეიძლება მსოფლიოს შესთავაზოს XXI საუკუნეში შესვლის ხედვისათვის არსებითი ფრიად მნიშვნელოვანი იდეები.

მ. ს. გორბაჩოვი დაეთანხმა ვ. ბრანდტს, რომ როგორც სოციალ-დემოკრატიული, ისე კომუნისტური მოძრაობის გამოცდილებაში ჯერ კიდევ ყველაფერი ბოლომდე გარკვეული და გააზრებული არ არის. ჩვენ მზად ვართ იმისათვის, რომ ფართოდ, მიუკერძოებლად, პირდაპირ და უშიშრად შევხედოთ წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მზად ვართ ყველაზე სერიოზული სჯა-ბაასისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა აღძრა გარდაქმნის ამ, მეტად ძნელ ეტაპზე მისდამი დასავლეთის დამოკიდებულების საკითხი. ვიცნობთ იმათ, ვისაც სურს იმსჯელოს და იმოქმედოს ძველებური პრინციპით: რაც უფრო უარესია სსრ კავშირისათვის, მით უკეთესია. მაგრამ, როგორც წარმოგვიდგენია, მსოფლიოში უმრავლესობას ესმის, თუ რა პოზიტიური მნიშვნელობა აქვს გარდაქმნას მთელი მსოფლიო პროცესისათვის. მათ განეკუთვნება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობაც, რომლის სოლიდარობასა და მისწრაფებას გაიგოს ჩვენი პრობლემები, ვაფასებთ.

მაგრამ დაინტერესება იმით, რომ გარდაქმნა წარმატებით დაგვირგვინდეს, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფრთხილეს სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე რთულ პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებში. ამასთან დაკავშირებით, უპასუხა რა ვ. ბრანდტის კითხვას, რით დაეხმარება დასავლეთი გარდაქმნას, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: ყველაზე მთავარია, რომ ახლანდელ გარდამტეხ დროში არ მოხდეს იმის მსგავსი რამ, რაც წინა ათწლეულების მკვეთრ მოსახვევებში მომხდარა. ფრიად პასუხსაგები პერიოდი დაუდგა მსოფლიოს. და თუ პროვოკაციულად იქნება გამოწვეული ჩავარდნა, მაშინ ამას მძიმე შედეგები მოჰყვება. ახლა შეგვიძლია ვილაპარაკოთ ახალ ნდობაზე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში, რომელიც იშვა დროის მკაცრი იმპერატივების საფუძველზე. თუკი ვინმე ეცდება ისარგებლოს ახლის ძნელი ძიებით, დაარღვიოს ბუნებრივი პროცესი, ყოველივე ამას საფრთხე შეექმნება.

რაც შეეხება გარდაქმნის საშინაო ამოცანებს, მათ ჩვენ თვითონვე გადავწყვეტთ. სხვის მოიმედეობას თავიდან ვიცილებთ და არ გვინდა მასზე იმედი დავამყაროთ საგარეო ურთიერთობაში. გვჭირდება ნორმალური თანამშრომლობა ეკონომიკის, ეკოლოგიის, კულტურის დარგში, მოკლედ რომ ვთქვათ, ნორმალური საგარეო გარემო ჩვენი საშინაო მუშაობისათვის.

ვ. ბრანდტის თხოვნით მ. ს. გორბაჩოვმა დაახასიათა ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის ძირითადი მომენტები, გულახდილი შეფასება მისცა ზოგიერთ ღონისძიებას, რომლებსაც არ მოუტანია საჭირო შედეგები, რადგან მათი შემუშავების დროს უზრუნველყოფილი არ ყოფილა სისტემური მიდგომა. ჩამორჩენა პოლიტიკის ცალკეულ შემთხვევებში საზოგადოების გააქტიურების ტემპისაგან დაკავშირებულია იმასთან, რომ პრობლემები მეტად რთულია და საფუძვლიან მოფიქრებას მოითხოვს. არ გვინდა ხალხს მივაწოდოთ მკვახე ნაყოფი, თუმცა ამისაკენ გვიბიძგებენ.

ახლა ისეთ მომენტს განვიცდით, როცა საზოგადოებაში კრისტალდება, ბოლოს და ბოლოს, იმის გაგება, რომ მთავარია კონსტრუქციული მუშაობა. თანდათანობით და ძნელად გამოვდივართ განვითარების მიტინგური ფაზიდან. იგი აუცილებელი იყო, უიმისოდ არაფერი გამოგვივიდოდა, მან ადამიანებს შესაძლებლობა მისცა შეეცნოთ საკუთარი თავი და თავიანთი საზოგადოება, შეეფასებინათ გარდაქმნის საჭიროება და პოლიტიკა, რომელიც მისთვის არის საჭირო. მაგრამ მან ისე შეგვაზანზარა, იმდენი რამ გამოიტანა ზედაპირზე, რომ ახლაც ჯერ კიდევ ვგრძნობთ ამ „მიწისძვრის“ „ნარჩენ“ ბიძგებს.

ახლა უფრო მეტად გვწამს წარმატება, რადგან უფრო მეტად ვიცით ჩვენი შესაძლებლობები და ვიწყებთ ჩვენი ცხოვრების ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტას. მზადდება კანონები, რომლებიც შეცვლიან სიტუაციას თვით საზოგადოების ბაზისში. მუშაობა მიმდინარეობს პარტიაშიც და უმაღლეს საბჭოშიც. ახლა მთავარია შევანელოთ დაძაბულობა სოციალურ და ეკონომიკურ საქმეებში, რომლებიც ხალხის უკმაყოფილებას იწვევენ, გავარღვიოთ ეს განსაკუთრებული ზოლი და გავიდეთ სივრცეში, როცა პრაქტიკულად ამოქმედდება გარდაქმნის ყველა ძირითადი იდეა.

ჩვენი საზოგადოება ფრიად რთულია სიღრმისეული ცვლილებებისათვის, იგი მეტად ძლიერ არის დამძიმებული წარსულით, ჩვევებითა და წარმოდგენებით, რომლებიც სხვა დროში წარმოიქმნა. მაგრამ ყველა პერიპეტიისა და სიძნელის მიუხედავად, არ ვკარგავთ მთავარ ორიენტირს. იდეებისა და ქვეყანაში სიტუაციის შესახებ მსჯელობების მთელი მრავალფეროვნების პირობებში, ვერავინ ვერ შემოგვთავაზა გარდაქმნის იმ პლატფორმის ალტერნატივა, რომელიც პარტიამ შეიმუშავა. არჩევანი სწორი იყო, სტრატეგია სწორია, რაც შეეხება ტაქტიკას, ეს ყოველდღიური ბრძოლისა და მუშაობის საკითხია.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ა. ნ. იაკოვლევი, ვ. ა. მედვედევი, ვ. მ. ფალინი, ა. ს. ჩერნიაევი, ვ. ს. რიკინი, ეგონ ბარი, გერჰარდ შრედერი, ჰანს კოშნიკი, კლაუს ლინდენბერგი.

მ. ს. გორბაჩოვისა და ვ. ბრანდტის საუბრის დასკვნითი ნაწილი პირდაპირ მიმდინარეობდა.

(საქდესი).

* * *

სურათზე: შეხვედრის დროს.
საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მშენებლობა ახალმოსახლეთათვის

ერისიმედში ჩაღდება კერა

სიღნაღი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა საკუთარივით აღიქვეს სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა გაჭირვება და დახმარების ხელიც უანგაროდ გაუწოდეს. რაიონში შენდება საცხოვრებელი სახლები ახალმოსახლეთათვის. ზოგი მათგანი უკვე შესახლდა ახლად შექმნილ სოფელ ერისიმედში აშენებულ ახალ სახლებში. დრო კი არ ითმენს, დაზამთრებამდე ცოტაღა დარჩა, და მშენებლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დაწყებული სახლების მშენებლობა დროულად დამთავრდეს. მაგრამ საშენი მასალების ნაკლებობის გამო ყველა სახლი დროულად ვერ ჩაბარდება. ამიტომ ერთ სახლში დროებით რამდენიმე ოჯახს მოუწევს ცხოვრება.

ზოგიერთი სამშენებლო თუ სარემონტო ორგანიზაცია საშეფო დახმარებას უწევს აჭარიდან ჩამოსახლებულ ოჯახებს. მაგალითად, ასე მოიქცა სიღნაღის სასოფლო-საბინაო კომუნალური გაერთიანება, რომელმაც აჭარელი მურმან დეკანაძის ოჯახს დანაზოგიდან გამოუყო საშენი მასალები.

— გარდა იმისა, რომ დეკანაძის სახლისათვის საშენი მასალები გამოვყავით, ჩვენი მუშაკები მშენებლობაშიც ეხმარებიან, — თქვა გაერთიანების უფროსმა ბაადურ მილაშვილმა. — ყველა ღონეს ვხმარობთ, რომ დაზამთრებამდე ოჯახი ახალ სახლში დაბინავდეს...

გაერთიანების კოლექტივი წარმატებით შრომობს. მან წლევანდელ ცხრა თვეში 560 ათასის ნაცვლად 670 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა. თუ წინათ გაერთიანებას დიდძალი ვალი ჰქონდა, ახლა ბანკში 115.000 მანეთი მოგება აქვს. მას მშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის იყენებენ, აძლევენ მეცამეტე ხელფასს. საშუალო ხელფასი კი აქ 450 მანეთია.

— ჩვენმა საშეფო, დეკანაძის ოჯახმა, — გვითხრა გაერთიანების უფროსმა, — რაიონის მშრომელთა მიერ შეგროვილი თანხიდან 20 ათასი მანეთი მიიღო, რასაც სახლის გაწყობისა და სხვა საჭიროებებისათვის მოიხმარს.

გარდა ამისა, სიღნაღის რაიონში შეგროვილი 1.200 ათასი მანეთიდან 940 ათასი მანეთი სესხი მიიღო 47 ოჯახმა, რომელთა წევრები მალე შესახლდებიან ახალ სახლებში (თითოეულმა 20 ათასი მანეთის ოდენობით). დამატებით გამოყოფილი 240 ათასი მანეთი. ასე რომ, 50 ათას მანეთს აჭარიდან ჩამოსახლებული სხვა ოჯახებიც მიიღებენ. ალალი ყოფილიყოს მათთვის თანამოძმეთა უანგარო დახმარება!

პარლამენტის ძნელი დღე

(დასასრული)

— ერთია. თუ საქმე ეხება სახელმწიფოთა კონფედერაციას — ეს სულ სხვა რამ არის. და როცა დღეს გადაწყვეტილებას ვიღებთ, უნდა შორს გავიხედოთ, არ ავყვეთ ემოციებს, რომლისკენაც სამწუხაროდ გვიბიძგებს ყოველდღიური ცხოვრება.

უწინარეს ყოვლისა, ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ი. რიჟკოვმა, კერძო საკუთრების მომხრენი ვართ თუ არა. ეს ფუძემდებელი საკითხია, რომელსაც თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჰყავს. ვფიქრობ, რომ ეს პოლიტიკური პრობლემაა. კერძო საკუთრებას თუ მივიღებთ, წავალთ იმ მიმართულებით, რომელსაც სერიოზული სოციალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ აქ ხალხს უნდა მოვეთათბიროთ.

მეორე საკითხია მიწის, წიაღისეულის საკუთრება და ა. შ. ჩემი აზრით, მასაც ასევე უპირველესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ეს განსაზღვრავს შემდგომში ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობას. ჩვენ ნამდვილად უნდა მივცეთ ეკონომიკური თავისუფლება რესპუბლიკებს, რომ ისინი სინამდვილეში გრძნობდნენ თავს ბატონ-პატრონებად, პასუხისმგებლობით იყენებდნენ თავიანთ უფლებებს.

მთელი სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებისათვის, თქვა შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, უნდა დავსახოთ მაგისტრალური გზები. მათგან მთავარია შევქმნათ სოციალისტური ბაზარი. თუ იგი ნორმალურად იმოქმედებს, ვის რაღად უნდა დაბრკოლებები, ხელშეკრულებები, კვოტები? ნებისმიერ რესპუბლიკას თუ საწარმოს, ადგილმდებარეობის მიუხედავად, შეეძლება ყიდვა-გაყიდვა. მეორე ამოცანაა საბითუმო შესასყიდი ფასების რეფორმა. სანამ არ მოვაწესრიგებთ ამ საკითხს, რესპუბლიკებს შორის მუდამ იქნება აზრთა სხვაობა. რა არის იაფი, რა — ძვირი, ვინ არის საბოლოო პროდუქტზე და ვინ — საწყის ნედლეულზე. და მესამე, თითქოს შორეული და მაინც აქტუალური საკითხი: ეს არის მანეთის კონვერტირება. თუ ამას მივაღწევთ, რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიყიდით ბამბას — უზბეკეთში თუ ეგვიპტეში, ნავთობს — ტიუმენში თუ კუვეიტში? ამ მიზანს სწრაფად ვერ მივაღწევთ, მას მრავალი წელი სჭირდება. მაგრამ ამ გზას უნდა დავადგეთ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მხარი დაუჭირა მრავალი დეპუტატის წინადადებას იმის შესახებ, რომ განსახილველი პროექტი გაიგზავნოს დასახვეწად, შემდგომ კი გამოქვეყნდეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ნ. ი. რიჟკოვის გამოსვლას ტაშით შეხვდნენ (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხშირად არ ხდება ჩვენს პარლამენტში). და კვლავ დისკუსია გაიმართა დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

ხმათა უმრავლესობით დეპუტატებმა მოიწონეს პირველი წაკითხვით კანონპროექტის ძირითადი დებულებანი და საჭიროდ მიიჩნიეს, კერძოდ, მასში ასახულიყო ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების საკუთრების საკითხები.

კანონის პროექტი, ნათქვამია დოკუმენტში, გამოქვეყნდება პრესაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. გადაწყდა, პროექტის დახვეწა და გამოქვეყნებისათვის მისი მომზადება დაეკისროს კომისიას ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვის, ნ. ი. რიჟკოვის, ლ. ი. აბალკინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს კომისიების თავმჯდომარეების მონაწილეობით.

დამთავრდა დღევანდელი დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვა.

და დარბაზში კვლავ ტაში გაისმა: დეპუტატები მიესალმნენ სტუმრებს — ამერიკელ იურისტებს და მათ ხელმძღვანელს — ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრს რიჩარდ ტორნბერგს.

სესია გადავიდა კოოპერატივების სავაჭრო-შემსყიდველობითი საქმიანობის მოწესრიგების შესახებ დადგენილების განხილვაზე, რომელიც წინა დღეს გადაიდო. ხანგრძლივი დისკუსია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში სავაჭრო-შემსყიდველობითი კოოპერატივების ყოფნა-არყოფნის შესახებ, რომლებსაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს დაკანონებულ სპეკულაციად, დღეს ბოლოს და ბოლოს, დამთავრდა. მიღებულია დადგენილება, რომელიც, ერთი მხრივ, კოოპერაციის კანონის გუშინ დამტკიცებულ შესწორებებთან ერთად ამტკიცებს ჯანსაღი კოოპერაციის განვითარების კურსს და, მეორე მხრივ, მიზნად ისახავს ბოროტად გამოყენების აღკვეთას.

დოკუმენტში დასტურდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთო გეზი, რომელიც ითვალისწინებს, რომ განვითარდეს კოოპერაციული მოძრაობა და შეიქმნას სტაბილური და სახელმწიფო საწარმოების თანასწორუფლებიანი პირობები კანონის ფარგლებში მოქმედი ყველა კოოპერატივის დამოუკიდებელი მეურნეობრიობისათვის. სსრ კავშირის პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალათ განახორციელონ დაუყოვნებლივ ღონისძიებანი კოოპერატივების საქმიანობაში კანონიერების უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის.

დღევანდელი დადგენილება მიღებულია პროფკავშირული ორგანოებისა და მთელი რიგი დეპუტატების ინიციატივით. პროექტის პირველი ვარიანტის განხილვისას ზოგიერთმა პოლემიკით აგზნებულმა პარლამენტარმა ეჭვი მიიტანა თავისი კოლეგების ნაწილზე, რომ ისინი გახდნენ „კოოპერაციული ლობები“ და დაჟინებით მოითხოვდნენ სახელობითს კენჭისყრას.

ამ სესიაზე შექმნილი იმ პრაქტიკისაგან განსხვავებით, რომ პალატების გაერთიანებული სხდომები მხოლოდ ორშაბათობით და სამშაბათობით გაიმართოს, დეპუტატებმა გადაწყვიტეს შეიკრიბონ ოთხშაბათს, 18 ოქტომბერს, რათა დააჩქარონ მუშაობა სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის საერთო საწყისების შესახებ კანონპროექტზე, რომლის მიღებასაც ყველგან მოუთმენლად ელიან.

ს. ვოზიანოვი, ნ. ჟელეზნოვი, ვ. ოლეინიჩენკო, ა. პეტროვსკი, ვ. შიშლინი.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

ცნობილია, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობის რელსებზე საქართველოს გადასაყვანად უნდა შეიქმნას მტკიცე ფინანსური ბაზა. ამ მხრივ როგორ არის დღეს საქმე? რა კეთდება რესპუბლიკაში ფინანსების მართვის ქმედითი სისტემის შექმნისათვის? და ბევრმა სხვა საკითხმა, რომლებიც საზოგადოებრიობას აწუხებს, განსაზღვრა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრთან დემურ დვალიშვილთან — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილესთან საქინფორმის კორესპონდენტის საუბრის შინაარსი.

დემურ დვალიშვილი: „შევქმნათ ფინანსების მართვის ქმედითი სისტემა“

— საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა მიზანია, რომელიც თითოეული ჩვენგანის, მთელი ჩვენი საზოგადოების ინტერესებს გამოხატავს. ამ საჭირბოროტო პრობლემის გარშემო გაჩაღებული ფართო დისკუსია და უკვე გადადგმული პირველი პრაქტიკული ნაბიჯები უდავოდ მოწმობს, რომ მივაღწევთ სასურველს. მით უმეტეს, რომ დღეს ამას ისახავს მიზნად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის, საზოგადოებრივი ფორმირებების, მთლიანად ხალხის საქმიანობა.

მაგრამ დასახული მიზნის მიღწევისათვის უნდა მოვამზადოთ შესაბამისი პირობები, შევიმუშაოთ ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური და სხვა პრობლემების გადაჭრის არატრადიციული ფორმები და მეთოდები. ეს მეტად გადაუდებელი საქმეა, რადგან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, წარმოიქმნა უკიდურესად მძიმე, გულახდილად რომ ვთქვათ, კრიზისული სიტუაცია. დამერწმუნეთ, ფიქრადაც არ მაქვს გავამუქო ფერები. მაგრამ სიტუაცია ნამდვილად ექსტრემალურია.

ჭეშმარიტებაა, რომ ეკონომიკის ყველა სირთულე საბოლოო ანგარიშით აისახება ფინანსებში. სწორედ ამიტომაც ახლა ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა რესპუბლიკაში შევქმნათ ფინანსების მართვის მოქნილი და, რაც მთავარია, ქმედითი სისტემა. ამ მიზნით მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა სამინისტროსა და უწყებაში, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეიქმნა ფინანსური გაჯანსაღების სამუშაო ჯგუფები. ახლახან კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა სახალხო მეურნეობის ფინანსური გაჯანსაღების ოპერატიული ხელმძღვანელობის ასეთი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ა. ჭითანავა. მის წევრთა შორის არიან რესპუბლიკის საფინანსო, საბანკო და საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელები. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ჯგუფები შეიქმნა სახალხო მეურნეობის ცალკეული კომპლექსების მიხედვითაც.

რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენს სამუშაო ჯგუფს, იგი ყოველდღიურად იკრიბება. მის სხდომებზე საგნობრივად ვიხილავთ მთლიანად რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების, რეგიონების, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პრობლემებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საკითხთა ოპერატიულ გადაწყვეტას, რომლებიც წამოიჭრება დარგებისა და ქვედარგების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ინტერესების შეხების წერტილებში, საერთო-რესპუბლიკურ ინტერესებთან მათ შეპირისპირებას. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი ჯგუფის შექმნა სულაც არ ნიშნავს მმართველობის ადმინისტრაციული მეთოდების დაბრუნებას, პირიქით, მის საქმიანობაში წინა პლანზე დგას სწორედ შემოქმედებითი მიდგომა მწვავე ფინანსური და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისადმი, მმართველობის არატრადიციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენება.

ჯგუფის პირველსავე სხდომაზე საფუძვლიანად გავაანალიზეთ სიძნელენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მოგების გეგმის შესრულებაში, აგრეთვე სამინისტროების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა. ამასთან ვხელმძღვანელობდით იმით, რომ სწორედ მომგებიანი, რენტაბელური მუშაობაა სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში ძირეული გარდატეხის მიღწევის საფუძველი, უფრო ფართოდ თუ გავიაზრებთ კი, საქართველოს ეროვნული განვითარების პროგრამის განხორციელების ეკონომიკური საფუძველი.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება მინდა მივაპყრო შემდეგ გარემოებებს. რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა გულისხმობს ჩვენი დანახარჯების საკუთარი შემოსავლით უზრუნველყოფას, რაც, სამწუხაროდ, დღეს ვერ ხერხდება ვერც რესპუბლიკის და, რაც მთავარია, ვერც საწარმოთა და ორგანიზაციათა უმრავლესობის დონეზე. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ორგანიზაციების უმრავლესობა წლების მანძილზე ბევრად უფრო მეტს ხარჯავდა, ვიდრე ამის საშუალება ჰქონდა. საკითხავია, ვის ხარჯზე? ცხადია, რომ სახელმწიფოს ხარჯზე. მაგრამ ბიუჯეტსაც რომ არა აქვს ფული? ახლა დადგა დრო, რომ დავფიქრდეთ, რომ სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა შემოიტანონ ფინანსური სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში, ხოლო მისი ხარჯები უნდა წარიმართოს ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, სოციალური და კულტურული ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

ჩვენი ჯგუფის სხდომებზე ვიხილავთ აგრეთვე სახალხო მეურნეობაში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთებისა და დებიტორული დავალიანების მდგომარეობას, რესპუბლიკური ბანკების საფილიალთაშორისო ოპერაციებით მოუწესრიგებელი თანხების, ბინათმშენებლობისათვის სესხების გაცემის და სხვა საკითხებს. მალე კი ვაპირებთ გავაანალიზოთ რესპუბლიკის სახაგრომრეწვის, სათბობის სახელმწიფო კომიტეტის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოების ფინანსური მდგომარეობა. დღის წესრიგში გვაქვს აგრეთვე ცალკეულ რეგიონებში მოსახლეობის შემოსავლისა და გასავლის შეწონასწორების პრობლემები, კოოპერაციულ მოძრაობაში გამოვლენილ საფინანსო დარღვევათა საკითხები და სხვა.

და ბოლოს. ახლა [illegible] სიმწვავით დგება ყველაფერში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის საჭიროების საკითხი. არ შეიძლება მეტ-ნაკლებად დადებით ფინანსურ შედეგებზე ლაპარაკი, თუ ბოლომდე ვერ მივაღწევთ გადახარჯვის შემცირებას. თვითღირებულება ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც საფუძვლად უძევს მოგებასა და რენტაბელობას, ესე იგი ის საყრდენია, რომელზეც უნდა აშენდეს ყველა ჩვენგანისათვის ესოდენ სასურველი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მტკიცე შენობა. ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა წლის ბოლომდე დარჩენილ დროში გაწეული ხარჯების შემოსავალთან შეჯერება მეურნეობის ძირითად პრინციპად გაიხადონ.

ვეხები [illegible] რა მთლიანად რესპუბლიკის საფინანსო სისტემას, შევნიშნავ, რომ შევადგინეთ მოქმედების ვრცელი პროგრამა, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური გაჯანსაღების სამუშაო ჯგუფის გეგმებიდან. ჩვენი მიზანია მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ უშუალოდ წარმოების პროცესზე. ესე იგი იქ, სადაც იქმნება ეროვნული შემოსავალი და მოგება. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვნად უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე ფინანსური რესურსების განაწილება-გადანაწილება. მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვანვაცხადო, რომ სხვა გამოსავალი რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძნელად სავალ გზაზე ჩვენ არ გვაქვს.

(საქინფორმი).

საგამომცემლო მრავალჭიდი

იმ წელს მიხო პაპას ორმაგი სიხარულის დრო დაუდგა: შვილიშვილი ბეჟუტიკო პირველ კლასში წავიდა, ვაჟმა ისიდორემ, ერთ-ერთი აკადემიური ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, დაასრულა მრავალი წლის კვლევა ქართული ენის დიალექტოლოგიის დარგში. ამ უკანასკნელის შესახებ სიხარულით აუწყა სამუშაოდან შინ დაბრუნებულ ქმარს თებრომ.

— დღეს ჩემი ყურით გავიგონე, ჩვენი თვალისჩინი ცოლს ტასიკოს რომ ეუბნებოდა, ბოლოს და ბოლოს მონოგრაფიაში უკანასკნელი წერტილი დავსვი და მალე მას ცალკე წიგნად გამოუშვებენო.

— მგონია ჩვენი მეზობლის ნოშრევანის წინასწარმეტყველება ახდა, — ამაყად თქვა მიხომ.— მაგან არა თქვა, ისიდორე ვუნდერკინდიაო.

სანამ ხელნაწერი აქვე, თბილისში მდებარე გამომცემლობა „მეცნიერებაში“ აღმოჩნდებოდა, ისიდორეს მონოგრაფია განიხილეს ინსტიტუტის შესაბამის სექციაზე, არაერთგზის გაუკეთეს რეცენზია, განიხილეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სექციებსა და განყოფილებებში. და აი, გავიდა გარკვეული დრო, და რეცენზენტები, რომლებიც დიდ შეფასებას აძლევდნენ ნაშრომს, ყოველთვის გამოთქვამდნენ სურვილს შეეტანათ „უმნიშვნელო შესწორებანი“, ზოგიერთი — „გაეფართოებინა შესავალი ნაწილი“, „შეემცირებინა უკანასკნელი თავი“. ზოგიერთები კი, პირიქით, „შეემცირებინა შესავალი და გაეფართოებინა ბოლო ნაწილი“.

და აი, მონოგრაფია აღმოჩნდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს მოსამზადებელ გეგმაში. თითქოსდა, უკანასკნელი წერტილი დასმული იყო. წიგნი მალე გამოვიდოდა. მაგრამ, ნურას უკაცრავად.

გარკვეული დროის შემდეგ ეს გეგმა დასამტკიცებლად გაგზავნეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოში. რა თქმა უნდა, გამოცემის გეგმაში წარმოდგენილი ყველა ნაშრომის რუსულ ენაზე თარგმნა გახდა საჭირო. ძალღონე არ დაუშურებიათ მთარგმნელებს ისიდორეს მონოგრაფიის თარგმნაზეც.

და აქ... ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწია ისიდორეს. ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოსკოვში ფოტოგრაფიული სიზუსტით განმეორდა, ექსპერტები, რეცენზენტები, განხილვა სექციებში, განყოფილებებში და..., როგორც წესი, „უმნიშვნელო შესწორებები“.

როგორც იქნა საგამომცემლო გეგმა განიხილეს... სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს წლიურ პლენუმზე, და, თუმცა პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის გამსახკომის პასუხისმგებელი წარმომადგენელი, ეს გეგმა კომიტეტს გადაეცა შემდეგი დამტკიცებისათვის... და აქ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საგამომცემლო გეგმიდან ისიდორეს მონოგრაფია უცებ... გაქრა.

გარკვეული დროის შემდეგ, რომლის განმავლობაში ისიდორეს ხუჭუჭა თმა არა მარტო გაუჭაღარავდა, არამედ საკმაოდ შეუთხელდა კიდეც, ბოლოს მისმა ნაშრომმა გზა გაიკვალა აქვე გვერდით, თბილისში მდებარე გამომცემლობა „მეცნიერების“ ასაწყობ საამქროში. მალე ისიდორე აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრაზე, როგორც სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი. სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა მას მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. როგორ ფიქრობთ, წერტილი დაუსვა? გაგიგონიათ! გარკვეული დროის შემდეგ ამჯერად უკვე დისერტაცია რუსულ ენაზე ითარგმნა და დასამტკიცებლად გაიგზავნა მოსკოვში — უმაღლეს საატესტაციო კომისიაში. მან ნაშრომი გაგზავნა ექსპერტიზისათვის, რეცენზიისათვის და... გარკვეული დროის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ ნაშრომში ბევრი რამ გაურკვეველია და ამიტომაც დამტკიცებაზე უარი თქვა.

...გარკვეული დროის გასვლის შემდეგ პაპა მიხო, როცა ომისა და შრომის ვეტერანთა შეხვედრიდან შინ დაბრუნდა, „გაახარა“ თებროს ცნობამ:

— ჩემი ყურით გავიგონე, ჩვენი სიხარული ბეჟუტიკო ტელეფონით როგორ ეუბნებოდა თავის ცოლს, იმ ენაჭარტალა ხათუნას, მონოგრაფიაში უკანასკნელი წერტილი დავსვიო.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა პაპა მიხომ, — ნუთუ ყველაფერი ისე იქნება, რაც მამამისს — მეცნიერებით გატანჯულს მოუვიდა!

— რას ამბობ, კაცო!

— ვითომ არ იცი, რომელიმე სოფელში პატარა ეკლესია რომ გახსნა, ნება დღესაც მოსკოვს უნდა ჰკითხო. არ დაგავიწყდეს ჩემი ნათქვამი, ჩვენი შვილიც და შვილიშვილიც, აი, ნახავ, თუ ერთად არ მიიღებენ მეცნიერებათა კანდიდატების დიპლომებს.

— აბა, რას ამბობ, ბებერო, ახლა ხომ ამდენი რამ ითქვა სახალხო დეპუტატთა ყრილობასა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გაფართოების შესახებ. ვერ გამიგია, ნუთუ მშობლიური ენის საკითხებზე მონოგრაფიის გამოცემის ან საკანდიდატო დისერტაციის დაცვის საკითხი არ შეიძლება ადგილზე გადაწყდეს?

რა თქმა უნდა, მკითხველი მიხვდა, რომ ისიდორე განზოგადებული სახეა, რომლის უბედურება სამეცნიერო ნაშრომის გამოცემის გამო ჯერჯერობით ტიპურია.

გიორგი ლებანიძე.
„პრავდა“. 17. X

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 15 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ საკდესის კორესპონდენტ ლ. ერმაკოვასთან. ინტერვიუს ზოგიერთ ნაწილში კორესპონდენტის მიერ დაშვებულია ჩემი საუბრის შინაარსის თავისუფალი, არასწორი ინტერპრეტაცია (მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიზნების, ჩემი ცოდნისა და სწავლების საკითხების, მოკავშირე რესპუბლიკების საერთო სახალხო კომპლექსთან და რუსეთთან ურთიერთობის შესახებ და სხვა), რის გამოც ეს ნაწილები არც ფორმით და არც შინაარსით არ შეესაბამება ჩემს პოზიციას.

ჩვენი მოლაპარაკების მიუხედავად, ლ. ერმაკოვამ წინასწარ არ შემითანხმა გამოსაქვეყნებელი ტექსტი.

მსგავსი ამბავი განმეორდა აგრეთვე 18 ოქტომბრის პუბლიკაციაში — „დღის წესრიგშია ფუძემდებელი პროექტები“, სადაც საკდესის საპარლამენტო კორესპონდენტები ს. ვოზიანოვი, ნ. ჟელეზნოვი და სხვები ამტკიცებენ, რომ თითქოს 16 ოქტომბერს უმაღლესი საბჭოს სესიაზე ჩემი გამოსვლისას მე გავაიგივე მოკავშირე რესპუბლიკები და ავტონომიური ფორმირებები. ეს რომ ასე არ არის, ყველა დამეთანხმება, ვინც ჩემი გამოსვლა ტელევიზიით იხილა.

ვალერიან ადვაძე,
სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი.

თბილისელ მეთუნეთა საზღვარგარეთული კონტაქტები



თბილისის საშენ მასალათა კომბინატმა ხელშეკრულება დადო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმა „ბოხაკოსთან“. იგი ითვალისწინებს წითელი თიხის დეკორატიული სურებისა და ვაზების მიწოდებას.

ქართველ მეთუნეთა ნაწარმმა უკვე მოიპოვა პოპულარობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში, იუგოსლავიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ნატიფი ფორმის კერამიკული ჭურჭელი, ლიქიორის შენარჩევი „თინათინი“ და „ნათია“, დეკორატიული ვაზები „კახი“ და „ბეთანია“ მაშინვე იყიდება.

მალე მაღაზიების დახლებზე გამოჩნდება სიახლე — საყვავილე ლარნაკი და შანდლები. ახალი ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება მეთუნეებს შესაძლებლობას აძლევს მიაღწიონ მკაფიო ნახატს, ლამაზ ფერებს.

სურათებზე: მეთუნე ნუკრი მერაბიშვილს უყვარს თავისი პროფესია და შთაგონებით მუშაობს; მხატვრული კერამიკის საამქრო.

საქინფორმის ფოტო.

საშემოდგომო გაწვევის პრობლემები და საზრუნავი

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში საშემოდგომო გაწვევის ორგანიზაციისა და ჩატარების საკითხები განიხილეს რესპუბლიკურ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხედრო კომისრები, სამხედრო კომისარიატების, სამხედრო-საექიმო კომისიების მუშაკები, რესპუბლიკის პარტიული და კომკავშირული ორგანოების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლები.

[illegible] შორის განიხილეს პრობლემები, რომლებიც საზოგადოებრიობას აწუხებს: საქართველოს [illegible] მიერ სამსახურის გავლა მის ტერიტორიაზე, ბრძოლა [illegible] არასაწესდებო ურთიერთობის წინააღმდეგ.

აღინიშნა, რომ ამჟამად არსებული რეალური ვითარების პირობებში უკვე გამოიძებნა შესაძლებლობა 25—30 პროცენტამდე გაიზარდოს ახალწვეულთა რიცხვი ამიერკავკასიაში სამსახურის გასავლელად. დანარჩენთა უმრავლესობა გაიგზავნებიან ევროპის კონტინენტზე დისლოცირებულ ჯარის ნაწილებში.

— სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის სურვილები და მისი ხელმძღვანელობის წინადადებები, — თქვა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა გენერალ-ლეიტენანტმა ლევან შარაშენიძემ. — ჯერჯერობით მთელი რიგი მიზეზების გამო არა გვაქვს შესაძლებლობა საქართველოდან ჯარში გაწვეულნი მთლიანად დავტოვოთ სამსახურისათვის მის ფარგლებში, მაგრამ არსებითად გაიზარდა იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც მშობლიურ მხარეში მოიხდიან სამსახურს. გარდა ამისა შეგახსენებთ, რომ კანონიერ ქორწინებაში მყოფი ყველა ახალწვეული გაიგზავნება, როგორც წესი, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიას გადასცეს საკითხები ეროვნული საჯარისო ფორმირებების აღდგენისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე რესპუბლიკის ახალწვეულთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეთა შორის ურთიერთდამოკიდებულების საწესდებო წესების დარღვევის პრობლემებს, ხორციელდება მტკიცე ღონისძიებანი, რათა ჯეროვანი წესრიგი დამყარდეს ამ საკითხში. თავის მხრივ, ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ საზოგადოებრიობამ იცოდეს სად და როგორ მსახურობს ჩვენი ახალგაზრდობა. ახალწვეულთა რაზმებს სამსახურის ადგილამდე მიაცილებენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები. ისინი რამდენიმე დღეს გაატარებენ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, დაეხმარებიან ახალგაზრდა მეომრებს ადაპტირებაში, შეისწავლიან მათი სამსახურისა და ყოფის პირობებს, კონტაქტებს დაამყარებენ სარდლობასთან. ჩაიტანენ ქართულ ენაზე ლიტერატურის ბიბლიოთეკებს. ასეთივე დელეგაციები იმავე მიზნებით რეგულარულად მიდიან ნაწილებში, სადაც ჩვენმა წარგზავნილებმა გარკვეული დროის განმავლობაში იმსახურეს. მინდა გაცნობოთ, რომ მალე რესპუბლიკაში შეიქმნება ჯარისკაცთა დედების საბჭო, რომლის საქმიანობა, უეჭველად, აგრეთვე დადებით გავლენას მოახდენს ჯარში სამსახურთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე.

ამავე დროს, რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში იმართება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში საშემოდგომო გაწვევის ბოიკოტირების აქციები. ისინი მოაწყვეს მთელმა რიგმა საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა. ამ აქციებში მონაწილე გასაწვევთა ნაწილმა გაფიცვა გამოაცხადა.

აი, უკვე რამდენიმე დღეა თბილისში სპორტის სასახლესთან გაფიცულია ახალგაზრდობის ჯგუფი. აქცია სადღეღამისო ხასიათისაა. მას საფუძვლად უდევს ახალგაზრდობის პროტესტი ჩვენი რესპუბლიკიდან საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეული ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისადმი ტენდენციური დამოკიდებულების ამ ბოლო დროს გახშირებული ფაქტები.

— გაფიცვა, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი ხასიათისაა, — თქვა მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ვალიკო გვილავამ. — მის მონაწილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას კონტროლი ეწევა. სასურველია მხოლოდ, რომ მედიცინის მუშაკები ამ საკითხს მეტ ყურადღებას უთმობდნენ — ბიჭები ხომ ღია ცის ქვეშ არიან. რაც შეეხება აქციას, განზრახული გვაქვს გავაფართოოთ მისი მასშტაბი.

თ. გრიგალაშვილი,
ვ. თავაძე,
საქინფორმის კორ.

ქმედითობა

ტელეფონი [illegible] უნდა...

„კომუნისტი“, 1989 წლის 3 სექტემბერი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ბ. ბოჭორიშვილი:

სამინისტრომ ყურადღებით შეისწავლა გაზეთში გამოქვეყნებული მოქალაქე ე. ფსიტიძის წერილი ბინის ტელეფონის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ 22/23 სადგური მორალურად მოძველებულია, რის გამოც ტელეფონები მუშაობს ხარვეზებით.

ამჟამად მიმდინარეობს ძველი სატელეფონო სადგურის გადართვა ახალი ტიპის ელექტრონულ სატელეფონო სადგურზე, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს აღნიშნულ რაიონში ტელეფონების ხარისხიან მუშაობას.

შემოწმებისას მოქალაქე ე. ფსიტიძის ტელეფონი 22-39-77 მუშაობდა დამაკმაყოფილებლად. რაც შეეხება წერილში აღნიშნულ ფაქტს იმის შესახებ, რომ გაიშვა ახალი სატელეფონო სადგური და სატელეფონო კვანძმა დაპირების თანახმად არ მოახდინა მისი ტელეფონის განბლოკვა, სწორი არ არის, ვინაიდან ჯერჯერობით ახალი სატელეფონო სადგური მზად არ არის და არც მოქმედი აბონენტებია გადართული. ახლა მიმდინარეობს ახალი აბონენტებისათვის საბონენტო ხაზების გაყვანა, როგორც ეს გამოცხადებული იყო პრესაში.

ე. ფსიტიძეს განემარტა, რომ ახალი სატელეფონო სადგურის ამუშავების შემდეგ მისი ტელეფონი გადაყვანილი იქნება პირდაპირ ნომერზე.

უწერის სატკივარი

„კომუნისტი“, 1989 წლის 1 აგვისტო

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ქ. შარაშენიძე.

წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. მასში დასმულ პრობლემებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ რესპუბლიკური საკურორტო მართვის საბჭოს დავალებით საკავშირო საპროექტო ინსტიტუტ „კურორტპროექტის“ საქართველოს ფილიალმა დაამუშავა კურორტ უწერის სანატორიუმ „ფაზისის“ რეკონსტრუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლითაც გათვალისწინებულია სანატორიუმის საწოლების რიცხვის გაზრდა 400-მდე, ახალი სამკურნალო ბლოკის, სააბაზანოსა და სასადილოს მშენებლობა, აგრეთვე მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ამ სამუშაოთა საერთო ხარჯთაღრიცხვა 6,2 მილიონ მანეთს შეადგენს.

მიმდინარე წელს კურორტ უწერას დამატებით გამოეყო 79 ათასი მანეთი სააბაზანოს წესრიგში მოსაყვანად და ექსპლოატაციაში გასაშვებად, კლუბ-სასადილოს სახურავის შესაკეთებლად და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად.

ახლა აშენებენ ახალ საქვაბეს, რომელიც წლის ბოლომდე დამთავრდება და საშუალებას მოგვცემს სანატორიუმმა მთელი წლის მანძილზე მიიღოს დამსვენებლები.

ამჟამად სანატორიუმს აქვს პარაფინოთერაპიის, ფიზიოთერაპიის, ინჰალაციის, მასაჟის, სამკურნალო ფიზკულტურის, ქუჩის მინერალური წყლით ამორეცხვის კაბინეტები, სანატორიუმს აქვს აგრეთვე კლინიკურ-ბიოქიმიური ლაბორატორია. ამჟამად აქ ყოველწლიურად მკურნალობს საშუალოდ 1800 ავადმყოფი.

წერილში აღნიშნული მინერალური წყლის, ეგრეთ წოდებული „გვერითას“ მილებით ადგილზე ჩამოყვანის საკითხი კურორტოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტებთან ერთად შესწავლის პროცესშია და დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ეს საკითხიც მალე მოგვარდება.

რაც შეეხება საბაგირო გზის მშენებლობას, საპროექტო სამუშაოები შესრულდა „საკმრეწვმექანიზაციამ“. მშენებლობა 1976 წელს დაიწყო „საქკურორტმშენის“ ტრესტმა, შემკვეთი იყო საქართველოს პროფსაბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველო. მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 275 ათას მანეთს, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა— 162 ათას მანეთს. იმის გამო, რომ შემკვეთმა ვერ შეძლო პროექტით გათვალისწინებული 30 ცალი სამგზავრო კაბინის მიწოდება მშენებლებისათვის, 1982 წელს ობიექტის მშენებლობა გეგმიდან იქნა ამოღებული.

პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს გეოლოგიურ სამსახურს გეოლოგიური ქანების გამძლეობის არასაიმედოობის გამო არ აუკრძალავს საბაგირო გზის მშენებლობა.

დღეისათვის საკურორტო საბჭოს მოლაპარაკება აქვს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსთან“ იმის თაობაზე, რომ დაუმთავრებელი საბაგირო გზა მათ ბალანსზე გადასცენ, რათა მათ დაამთავრონ საბაგირო გზის დარჩენილი სამშენებლო სამუშაოები და უზრუნველყოფილ იქნას შემდგომში მისი ექსპლოატაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო, კურორტის გაფართოება-რეკონსტრუქციის მიზნით, ხელშეკრულებას აფორმებს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმთან“, 1991-1993 წლებში უწერაში აშენდება სანატორიუმ „ფაზისის“ 100-ადგილიანი საძილე კორპუსი, რეკონსტრუირებული იქნება საინჟინრო ქსელები და კეთილმოეწყობა ტერიტორია.

თითოეულმა თბილისელმა უნდა გაითავისოს

„კომუნისტი“, 1989 წლის 22 აგვისტო

„კომუნისტის“ ამ კრიტიკულ გამოსვლაზე რედაქციამ რამდენიმე პასუხი მიიღო:

26 კომისრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. სიდამონიძე:

წერილში აღნიშნული ფაქტი, რომ სამრეწველო დასახლების მეორე ქუჩაზე რკინიგზის გაყოლებით, თითქმის 200-250 მეტრზე მოსახლეობას მოწყობილი აქვს ხელოვნური ნაგავსაყრელი, სწორია, ნარჩენების ხრწნის გამო აქაურობა ყარს. ამ მხრივ არასასიამოვნო სანახავია აგრეთვე უშაკოვის, მათიაშვილისა და უზნაძის ქუჩები.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ქუჩები და რკინიგზის ზოლი სისტემატურად სუფთავდება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მაინც ანაგვიანებს და არ იცავს სანიტარიულ ნორმებს. დღეისათვის მდგომარეობა გამოსწორებულია. დაწესებულია კონტროლი აღნიშნულ ქუჩებში სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კიროვის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ლოლაშვილი:

საგაზეთო მასალაში სამართლიანად იყო მითითებული გრომაშვილის ქუჩის № 22/26 სახლების უკან არსებულ ანტისანიტარიაზე, რაც შემოწმებით დადასტურდა.

მიღებული ზომების შედეგად ზემოაღნიშნული ტერიტორიიდან გატანილია ნაგავი, ჯართი და უვარგისი საოჯახო ნივთები. აღნიშნული ადგილი მძიმე წერტილად ითვლება, რის გამოც დაწესებული გვაქვს სისტემატური კონტროლი.

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. კეკელიძე:

წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. პიონერულ ქალაქ „მზიურის“ ადმინისტრაციის უკონტროლობის შედეგად ტერიტორია გადაქცეული იყო სამშენებლო და საოჯახო ნარჩენების ნაგავსაყრელად.

გაზეთის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ არსებული ნაგავსაყრელი მოწესრიგდა. ამჟამად აქ სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

„მზიურის“ ტერიტორიას რაიონის სანეპიდსადგურმა განსაკუთრებული კონტროლი დაუწესა.

საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. საუვარელიძე:

გამოქვეყნებულს კრიტიკული წერილის პასუხად გაცნობებთ:

უნებართვო ნაგავსაყრელების სალიკვიდაციო სამუშაოებთან დაკავშირებით რაისაბჭოს აღმასკომმა მოიწვია სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. და შემუშავებულ იქნა სათანადო სამუშაოთა გეგმა, რაც უკვე ხორციელდება. კერძოდ, მიმდინარეობს უნებართვო ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია მდინარე ლოჭინისა და ნავთის ხევის ფერდობების დასუფთავება.

რაისაბჭოს აღმასკომის ყველა პასუხისმგებელი მუშაკი მიმაგრებულია ცალკეულ უბნებზე და კონტროლს უწევს სამუშაოების მიმდინარეობას.

იაკობ გოგებაშვილის საიუბილეოდ

ერის განმანათლებელი

ერთი წლის შემდეგ — 1990 წლის 27 ოქტომბერს — შესრულდება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, ქართული მეცნიერული პედაგოგიკისა და ახალი საბავშვო მწერლობის ფუძემდებლის, ქართული და რუსული ენების უბადლო სახელმძღვანელოების შემქმნელის, ახალი სალიტერატურო ქართულის გამავრცელებლისა და დიდი საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150-ე წლისთავი, რომელსაც ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს.

იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის სამოციანელთა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ სახელოვანი პლეადის წარმომადგენელია, რომელსაც დიდი ილია მეთაურობდა.

იაკობ გოგებაშვილი ქართველი ერის კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენაა. ფართოა მისი პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობის სარბიელი, თავისებურია მისი ბრძოლის ხასიათი. სამოციანელთა პრობლემატიკის რთული კომპლექსიდან ისტორიამ მას დააკისრა ქართველი ახალგაზრდობის დედაენაზე სწავლა-აღზრდის ახალი სისტემის შექმნა, ერის განათლების, გათვითცნობიერებისა და ეროვნული პროფესიული საბავშვო მწერლობის განვითარების ბედის მართვა.

დიდი პედაგოგი ერის სამსახურისათვის სამოღვაწეო ასპარეზზე ნათელი პროგრამით გამოვიდა და მთელი ნახევარი საუკუნე მისი განხორციელებისათვის ენერგიულად, შეუპოვრად იბრძოდა. „გავუძელ მოურჩენელ ავადმყოფობასაც, — წერდა ის, — გაძლიერებულ მტრობასაც, ბიუროკრატიის დევნასაც — არაფერი არ დავუთმე არც ერთს, არც მეორეს. ჩემს საზოგადოებრივ მიზანს აქეთ-იქით გადაუხვევლად ვემსახურებოდი შეძლებისდაგვარად“, რისთვისაც ქართველი ერი ი. გოგებაშვილის წმინდა სახელს თვალისჩინივით უვლის, მის ძვირფას დანატოვარს უფრთხილდება, როგორც გულით სალოცავს, რასაც დრო ფერს ვერ უცვლის, პირიქით, მეტ ელვარებას ჰფენს, შემოქმედების მეტ ენერგიასა და მარადიული სიცოცხლის ძალას ანიჭებს.

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 15(27) ოქტომბერს სოფ. ვარიანში (გორის მაზრაში), თვითნასწავლი მღვდლის ოჯახში.

გოგებაშვილი წარმოშობით სამცხის თავადია — „მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლებელი“ (ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 996). უნდა ვივარაუდოთ, რომ გოგებაშვილი წარმომდგარი არის გოგიბაშვილისაგან: გოგიბა — გოგება... 1929 წელს გ. ლეონიძეს აღმოუჩენია სიგელი (1647-1650 წწ.), რითაც დასტურდება მე-16—მე-17 საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს ნაწილი — ახლანდელი ბორჯომის ხეობა — გოგიბაშვილების საკუთრება ყოფილა. „გოგიბაშვილები იმდენად წარჩინებული თავადები ყოფილან, რომ კახთა მეფეს ლეონს დანათესავებიან. ასე, 1559 წ. გოგიბაშვილი იოსაფათის შვილმა ვახუშტიმ შეირთო ლევან მეფის ასული ქეთევან („ისტორიული საბუთები“, ს. კაკაბაძის გამოცემა, II, 44). და რადგანაც მეფის ასული მაინც „დიდად უხვედრი და საკანონო იყო“, გოგიბაშვილებმა მცხეთის სვეტიცხოველს შესწირეს „მაჭიხელს ოცდაათი კომლი კარგი გლეხი, უკლებად ბევრის გამღები... ორი ოქროს კანდელი სვეტის ცხოველისა წინა დაუფსებლად გნთებოდისო“ (გ. ლეონიძე, ჟურნ. „ცისკარი“, № 10, 1960, გვ. 117).

მძიმე დროთა ვითარებაში (ოსმალთა შემოსევა...) გოგიბაშვილების ერთ შტოს ბორჯომის ხეობა დაუტოვებია და სომხეთში ჩასახლებულა, სადაც თავადობა დაუკარგავს და აზნაური გამხდარა, იაკობის უშუალო წინაპრებს მალე აზნაურობაზედაც აუღიათ ხელი და ყმები გამხდარან.

იაკობის მამა სვიმონი ახალდაბის თავად მაჩაბლის ყმაა, რომელიც ბატონსაც ემსახურება და საკუთარ მცირე ვენახსაც კარგად უვლის. შურიანი ბატონი ამ ვენახის მოსავალსაც ართმევს სვიმონს, რის გამო იგი გაექცევა ბატონს და სახლდება ს. ვარიანში.

სვიმონმა და მაგდანა კალმახელიძემ ვარიანში შექმნეს ოჯახი და აღზარდეს მრავალი შვილი. პატარა იაკობი რვა წლამდე ოჯახში იზრდებოდა. ნიჭიერი და ცნობისმოყვარე ბავშვი ხარბად ითვისებდა სოფლის ბუნების სურათებს და ცხოვრების რეალიებს, რითაც მდიდრდებოდა მისი შთაბეჭდილებები. იაკობს მამისაგან გალობის ნიჭიც თან დაჰყვა და იგი ვარიანის ეკლესიაში, მამასთან ერთად გალობდა. მამას კი თავისი შესანიშნავი ხმის გამო მალე სოფლის მღვდლად ირჩევენ. იაკობი დიდ ინტერესს იჩენს ხალხური სიმღერებისადმი და ბავშვობაშივე ხარბად ითვისებს ბევრ ხალხურ ლექსსა და სიმღერას.

8 წლის იაკობი ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ მალე გადაჰყავთ თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც წარმატებით სწავლობს. ასევე წარმატებით განაგრძობს სწავლას სასულიერო სემინარიაშიც, რომელსაც პირველ მოწაფედ ამთავრებს და სახელმწიფო ხარჯით იგზავნება კიევის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი განათლების მისაღებად. იაკობი აკადემიაშიც წარჩინებულად სწავლობს, მაგრამ ვერ იტანს კიევის ჰავას და ავადდება; ამიტომ იგი მეორე კურსის დამთავრების შემდეგ გამოემგზავრება სამშობლოში, სადაც დაგვიანებით ინიშნება თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად და ზედამხედველად.

ახალგაზრდა პედაგოგი სასწავლებელში ამყარებს ახალ წესებს: კრძალავს მოსწავლეთა ფიზიკურ დასჯას, ახორციელებს ჰუმანური აღზრდის იდეას, რასაც რეაქციონერ მასწავლებელთა ჯგუფი უკმაყოფილოდ ხვდება.

ასეთ ვითარებაში იაკობ გოგებაშვილი უკან კი არ იხევს, არამედ გაორკეცებული ენერგიით ებრძვის სასწავლებელში გამეფებულ არაადამიანურ რეჟიმს და აქედანვე აყალიბებს სწავლა-აღზრდის ახალ სისტემას — ჰუმანიზმსა და დემოკრატიზმზე დაფუძნებულს.

იაკობ გოგებაშვილს არ აკმაყოფილებს დედაენის სახელმძღვანელოები, რომლებიც აგებულია სქოლასტიკურ თვალსაზრისზე და 24 წლის ასაკში ადგენს ახალ სახელმძღვანელოს. „ქართულ ანბანსა და პირველ საკითხავ წიგნს მოსწავლეთათვის“, რომელიც 1865 წელს გამოდის. ამ სახელმძღვანელოში წერა-კითხვის სწავლება აგებულია ახალ მეთოდზე — ბგერით ანალიზურ მეთოდზე, რითაც ქართული წერა-კითხვის სწავლების ისტორიაში ახალგაზრდა პედაგოგმა ნამდვილად რევოლუცია მოახდინა.

იშვიათი შემთხვევაა, რომ პედაგოგმა ახალგაზრდობაშივე შეძლოს ანბანის რიგიანი სახელმძღვანელოს შედგენა. ასეთ რთულ საქმეს მომეტებულად ხელს ჰკიდებენ დიდი პრაქტიკული გამოცდილების, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში. გენიალურმა ლ. ტოლსტოიმ ანბანის სახელმძღვანელო „ომისა და მშვიდობის“ დაწერის შემდეგ შექმნა, რის შესახებაც ნ. სტრახოვს სწერდა: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანით“ სამარადისო ძეგლი დავიდგი“. კ. უშინსკიც საქვეყნოდ აღიარებდა, რომ „ყველაზე ძნელი მთელ დიდაქტიკაში სწორედ დედაენის ანბანის სახელმძღვანელოს შედგენააო“.

ი. გოგებაშვილმა ახალგაზრდობაშივე იცოდა, რომ დედაენის მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოს შედგენა შეუძლებელი იყო მაღალმხატვრული საბავშვო ლიტერატურის გარეშე და ხელი მიჰყო მცირე სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის საბავშვო მოთხრობებისა და მეცნიერულ-პოპულარული სტატიების წერას, რითაც გაამდიდრა ქართული საბავშვო მწერლობა.

1868 წელს ახალგაზრდა ნოვატორი პედაგოგი სცემს დედაენის ენციკლოპედიურ სახელმძღვანელოს „ბუნების კარს“, რომელშიც ქართველი კლასიკოსი მწერლების თხზულებებთან ერთად უხვად შეაქვს საკუთარი შემოქმედების ნიმუშები.

„ბუნების კარმა“ დიდი როლი შეასრულა ქართველი ახალგაზრდობის სულიერ აღზრდაში, ეროვნული მეობის, ეროვნული თვითშეგნების გამომუშავებაში, ახალი სალიტერატურო ქართულის გავრცელებაში, ერის განათლებასა და კონსოლიდაციაში. „ბუნების კარის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც ამ სახელმძღვანელოს სწავლების მეთოდიკურ რეკომენდაციებს შეიცავს, ი. გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს დედაენის ცოდნის უდიდეს მნიშვნელობას ადამიანის საერთო განვითარებასა და მეორე ენის შესწავლისათვის, როცა მოსწავლეთა მშობლებს ასეთ რჩევას აძლევს: „სამჯერ ჩქარა შეისწავლის რუსულ გრამატიკას ის ყმაწვილი, რომელმაც ქართული გრამატიკა იცის, მანამ ისა, რომელმაც არ იცის. ეს ისეთი უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ სულ მცირე ჭკუის ადამიანისათვის ცხადი უნდა იყვეს“. მისი აზრით, დედაენა არის ბურჯი ყოველი ცოდნის შეძენისა და მტკიცე საფუძველი ბავშვის შემოქმედებითი ძალების შეუფერხებელი განვითარებისა.

იაკობ გოგებაშვილი თავის შესანიშნავ შრომაში „ბურჯი ეროვნებისა“ წერს: „ნამდვილის კაცურის გონებისა, გრძნობისა და ხასიათის აღზრდა ბავშვებში, მათი პირადი ბედნიერება, რომელიც ყველა მშობელსა სწყურის, შეუძლებელია მაშინ, როდესაც მათ აღზრდაში მეტნაკლებობით უარყოფილია დედა-ენა, ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა, — რომ ისინი, ვინც ამ გამაცხოველებელს ძალას მხარს უქცევენ თავისავე ხელით უთხრიან სამარესა თავისი შვილების ჯეროვან განვითარებას, ნათელს მომავალს, მათს სანატრელს ბედსა და ჰხდებიან ნამდვილი დამნაშავენი მათ წინაშე“... დიდი პედაგოგის აზრით, დედაენაზე მეტყველების უნარი დაბადებიდანვე კოდირებულია ადამიანში და მის ჩახშობას, განვითარების შეფერხებას „მიუცილებლად მოსდევს აზრისა და გრძნობის შეფერხება“... „ვინც ზედმიწევნით არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასოდეს ვერ მიეწევა ჯეროვან სიღრმეს აზრისას და გრძნობისას“. „მას (დედაენას, ვ. რ.) აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში. მთელს მის ბუნებაში: იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიხოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველ ადამიანს დაბადებიდგან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებითგანვე ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს — იადონური გალობის ნიჭი და სხვ. ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით. ამასთან დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულსა და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“.

ი. გოგებაშვილმა („იაკობ სვიმონიძის“ ფსევდონიმით) გაზ. „ივერიაში“ (№ 77, 1890 წ.) გამოაქვეყნა წერილი სათაურით „მცირე მოხსენება დიდს საგანზედ“, რომელშიც ავტორი ღრმა ანალიზს უკეთებს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის მუშაობის კარგ მაჩვენებლებს, რომლებიც მოპოვებულია დედაენაზე სწავლა-აღზრდის შედეგად. „წინამძღვრიანთ-კარის სკოლა ადგია, — წერს ი. გოგებაშვილი, — მტკიცედ და შეურყეველად ამ დალოცვილსა და ჭეშმარიტს გზას განათლებისას; მარტო იგი ასრულებს ძირითადს მცნებას პედაგოგიისას, მხოლოდ მას უპყრია ხელში დროშა გონებრივის წმინდა სინათლისა და მარტო იგია მოშორებული კომლსა და ხრწოლვას, რომელიც მეტნაკლებობით ტრიალებს ყველა სხვა სასწავლებელში და სულს უხუთავს მოზარდს თაობას, ფრთას უკვეცავს გონებასა და მისწრაფებას. საკუთარის წესდების ძალით, რომელიც დამტკიცებულია მთავრობისაგან, წინამძღვრიანთ-კარის სკოლაში **სწავლება ყველა საგნებისა მთელის ექვსის წლის განმავლობაში მიდის და სწარმოებს დედა-ენაზედ.** და სწორედ ეს გახლავთ ძირითადი მიზეზი სკოლის იმ აყვავებისა, რომელსაც ყველანი აღტაცებაში მოჰყავს“ (ი. გოგებაშვილი, თხზ., 2, 1954, გვ. 202).

ი. გოგებაშვილს წინამძღვრიანთკარის სკოლა ქართული ეროვნული სკოლის ნიმუშად მიაჩნია, სადაც „არის განხორციელებული პრინციპი ჭეშმარიტის განათლებისა, იმისთანა პრინციპი, რომლის გარეშე ერის ფეხზედ წამოყენება და მისი წარმატება ყოვლად შეუძლებელია. სადაც კი ჭეშმარიტის განათლების ლამპარი დანთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედაენა, სწავლება დედა-ენაზედ, როგორც საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის შეძენისა, ღონე ბუნებისაგან და ღვთისაგან მინიჭებული და დალოცვილი. რომელს ქვეყანაშიაც კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ — დაბნელება და ზნეობის გაწმენდის და ამაღლების მაგიერ — მისი დაცემა“ (იქვე).

ი. გოგებაშვილი მრავალ ფაქტს ასახელებს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ეცემა ეროვნული კულტურა, როგორ ფერხდება ეროვნული შემოქმედებისა და მეცნიერების განვითარება, როცა სწავლა-აღზრდა დედაენას არ ეფუძნება. ამის ერთ-ერთ მაგალითად შემდეგი ცნობა მოაქვს. „განთქმული მეცნიერის კარლე ფოხტის აზრით, თუ ხალხი თავის დედა-ენას სცვლის სხვა ენაზე და ამ უკანასკნელზე იღებს განათლებას, იგი ვერ აიცილებს თავიდან გონების დაჩაგვრას, დამდაბლებას და მეტნაკლებობით დაჰკარგავს შემოქმედებითს ნიჭსა. მაგალითად ასახელებს ერთს დასავლეთის კუთხეს გერმანიისას, სახელდობრ ელზასსა, რომელსაც შუა საუკუნეებში, როცა იგი შეადგენდა ნაწილს გერმანიისას და განათლების იარაღად ხმარობდა თავის ნემეცურს — დედა-ენას, მსოფლიო ასპარეზზე გამოჰყავდა განთქმულნი მოღვაწენი; მაგრამ მას უკან, როცა ელზასი წაართვა საფრანგეთმა გერმანიას, შეიერთა და იქ გაამეფა თავისი ფრანგული ენა, ველარც ერთი მსოფლიო ნიჭის პატრონი ველარ აჩუქა ელზასმა კაცობრიობასო, თუმცა საფრანგეთმა მასში დაამყარა იმისთანა თავისუფლება და წეს-წყობილება, რომელიც ბევრად სჯობდა ყოველ მხრივ წინანდელსა და ელზასელების გული სრულიად და სავსებით მოინადირაო“ (იქვე, გვ. 213).

1875 წელს შეადგინა იაკობ გოგებაშვილმა თავისი უკვდავი „დედა ენა“, რომელიც 1876 წელს გამოიცა. ამ წიგნით მილიონობით პაწია ქართველმა გაიკვეთა ანბანი და გაბედულად შეაღო ცოდნის საიდუმლოების კარი. „დედა ენას“ ერმა 100 წლის თავზე დიდი იუბილე გადაუხადა და დედაქალაქის შუა გულში მარადიული ძეგლი აღუმართა. ასეთი დაფასება „დედა ენამ“ ნამდვილად დაიმსახურა. იგი თავისი ეროვნული მიმართულებით, მდიდარი შინაარსითა და მონუმენტური აგებულებით ქართული ენის სახელმძღვანელოთა შორის გამორჩეულია, ამაღლებული. იშვიათ სულიერ საგანძურს მხოლოდ მაღალი გონებისა და წმინდა სულის ადამიანები ქმნიან. „დედა ენის“ შექმნის დროს, — წერს ი. გოგებაშვილი, — ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გული“.

არტურ ლაისტი აღნიშნავს: „ქართველი მოზარდი თაობა სწავლობს თავის ეროვნულ ენას უმთავრესად ორი სახელმძღვანელოს შემწეობით: „დედა-ენითა“ და „ბუნების კარით“. ეს ორი მთავარი სახელმძღვანელო დგას იმავე სიმაღლეზე, რომელზედაც დგანან საუკეთესო ევროპიული სახელმძღვანელონი“.

მარჯვედ გამოიყენა ი. გოგებაშვილმა „დედა ენაში“ ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, რაშიც დაეხმარა მას ქართული ენის ფონეტიკის, გრაფიკის, ლექსიკისა და გრამატიკის ღრმად ცოდნა.

როცა ი. გოგებაშვილს ჩამოუტანეს გერმანული ანბანის სახელმძღვანელოები, მას უკვე შედგენილი ჰქონდა „დედა ენა“. შედარებისას გაირკვა, რომ გერმანული ანბანის სახელმძღვანელოები და „დედა ენა“ ერთი მეთოდითაა შედგენილი, მაგრამო, — აღნიშნავს ი. გოგებაშვილი, — გერმანული ანბანის სახელმძღვანელოები ახლოსაც ვერ მოდის „დედა ენასთანო“ და იგი ასახელებს იმ ნაკლოვანებებს, რითაც გერმანული ანბანის სახელმძღვანელოები ხასიათდებიან: „ნორმალური სიტყვის ანალიზს თავდაპირველად ვერ მოსდევს სინთეზი, ე. ი. გაცნობილი ასოებიდგან ახალი სიტყვები არ არის შემდგარი. სინთეზს ვხედავთ მხოლოდ მეხუთე-მეექვსე გაკვეთილიდან“ და კიდევ უფრო გვიან გვხვდება ფრაზების მაგალითიო. „დედა ენაში“ კი პირველ გაკვეთილზევე ეცნობა ნორმალური სიტყვა „ია“, რომლის დიდაქტიკურ-მეთოდიკური ღირსება და ღირებულება ძალზე დიდია. ამ სიტყვით ანბანის დაწყება უდიდესი მეცნიერული აღმოჩენაა ქართული წერა-კითხვის სწავლების ისტორიაში. „ია“ ნაცნობი და სასიამოვნო საგნის აღმნიშვნელი სიტყვის ბგერათა ადგილების შეცვლით ვღებულობთ ახალ სიტყვას „აი“, ადვილად ხერხდება სიტყვის ანალიზი და სინთეზი და ბგერათა შეუფერხებლად და სუფთად წარმოთქმა, ამ ორი სიტყვით ერთიმეორესთან დაკავშირებით ფრაზის შედგენა აი ია): „ნემეცურს სახელმძღვანელოებში პირველ გაკვეთილებში უაზრო მარცვლები ვერ აუცილებიათ, ჩვენს წიგნში არც ამ ნაკლოვანებასა აქვს ადგილი. მარცვლების მაგიერ ჩვენ მოვძებნეთ და ჩავურთეთ ორასოიანი სიტყვები, რომლებიც მარცვლებივით ადვილნი არიან საკითხავად და ამასთან მათს უაზრობას მოკლებულნი, რადგანაც თითოეული მათგანი რაიმე ნივთს, საგანს ნიშნავს და წარმოუდგენს გონებაში ბავშვსა“. „დედა ენაში“ ყველა ბგერა-ასო, გარდა ჰ-აესი, ეცნობა ნაცნობი საგნის სურათით და მისი აღმნიშვნელი არსებითი სახელით. უცხოური ანბანის სახელმძღვანელოებში კი უცნობი ბგერა-ასოს გასაცნობად უცნობი სურათებია მოთავსებული. „დედა ენაში“ მოხაზულობით მსგავსი რამდენიმე ასო მიჯრით არის მოთავსებული და ა. შ.

„დედა ენის“ მეხუთე (1886 წ.) გამოცემა არსებითად გაუმჯობესდა. ბგერა-ასოების დალაგებისა და ნორმალური სიტყვების შერჩევის სისტემა სამ ძირითად პრინციპს დაეფუძნა: **ფონეტიკურს, გენეტურსა და სემანტიკურს.** „დედა ენა“ 1906 წელს (21-ე გამოცემა) გაიყო 2 ნაწილად და ცალ-ცალკე გამოიცა. I ნაწილი განთავისუფლდა „მართლმადიდებელი ეკლესიის“ შესახებ მასალებისაგან და გამოცხადდა ყველა სარწმუნოების ქართველთა სახელმძღვანელოდ. II ნაწილი კი შეივსო ახალი მასალებით. კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა და გამდიდრდა ისეთი საკითხავი თხზულებებით, რომლებშიც ასახულია სამშობლოს სიყვარული, მშობლების სიყვარული. კაცთმოყვარეობა, ზნეობრივი სისპეტაკე, პატიოსნება, შრომის სიყვარული, ბავშვთა მამაცობა, ბუნების სიყვარული და ა. შ.

„დედა ენის“ I ნაწილში არის ოთხხაზიანი წერის ბადე წერის ნიმუშებით, „დედა ენის“ II ნაწილში კი — ორხაზიანი და ცალხაზიანი რვეულის ფონზე გადაბმული წერის ნიმუშებით.

„დედა ენას“ (აგრეთვე წერის სწავლების სისტემას) ი. გოგებაშვილის სიცოცხლეშივე და შემდეგაც გამკიცხველი და მიმბაძველები არ მოჰკლებია. ასეთი პირების უგუნურებას ი. გოგებაშვილი ააშკარავებდა და მეცნიერული არგუმენტებით ამსხვრევდა. იგი ყველას გასაგონად აცხადებდა:

„დედა ენა“ დაუთმობს თავის ალაგს არა რომელსამე ლატაკ წიგნაკს,... არამედ იმისთანას, რომელიც უფრო მდიდარი იქნება მასზედ, იქნება უფრო სრული სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად, უფრო უკეთესად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას იქითა და აქეთა ქართველებისას, საერო და სამრევლო სკოლებისას ერთად და უფრო მეტად დაეხმარება გაერთიანებას ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებისას“.

„დედა ენის“ გამარჯვებას მრავალი ფაქტორი აპირობებდა: მისი შემოქმედის დიდი ცოდნა-განათლება, ქართული ენის ბუნებისა და ბავშვის ფსიქიკის საიდუმლოების ღრმა ცოდნა, დიდი პედაგოგის მხურვალე პატრიოტიზმი, იშვიათი კაცთმოყვარეობა, წერა-კითხვის სწავლების ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდის მარჯვედ გამოყენება, ქართული ენის ფონეტიკის, გრაფიკის, ლექსიკა-სემანტიკის საფუძვლიანი ცოდნა, ქართული ბგერა-ასოების სწავლების თანამიმდევრობის ოპტიმალური სისტემის შექმნა, თვალსაჩინოების, შეგნებულობის, ხალხურობის პრინციპების გამოყენება, კითხვისა და მეტყველების სავარჯიშოების განმავითარებელ იდეაზე აგება, ნორმალური სიტყვებისათვის არსებითი სახელების შერჩევა... „დედა ენის“ დიდი წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ის, რომ მისი შემოქმედი დაჯილდოებული იყო მაღალმხატვრული შემოქმედებითი ნიჭით. მას თავისუფლად შეეძლო ყველა საჭირო თემაზე შეეთხზა მცირე (ან მოზრდილი) მოცულობის ღრმად ემოციური მოთხრობა. ასეთი მოთხრობებით უხვია „დედა ენა“ და „ბუნების კარი“.

„დედა ენაში“ დიდი ადგილი უჭირავს ლოგიკურ-ენობრივ სავარჯიშოებს, რომლებიც აცნობს პატარებს გარესინამდვილეს, აძლევს მათ რეალურ ცოდნას ბუნებასა და საზოგადოებაზე, უმდიდრებს ლექსიკურ მარაგს, აჩვევს ფრაზის სწორად აგებას, კითხვაზე მართებული პასუხის გაცემას, გაბმულ მეტყველებას. ასეთ მრავალფეროვან მასალაზე ვარჯიშობა ხელს უწყობს პატარების არა მხოლოდ მეტყველების განვითარებას, არამედ შემეცნებითი უნარის განვითარებასა და სასარგებლო პრაქტიკული ჩვევებით შეიარაღებას, სწორი მსოფლმხედველობის გამომუშავებას.

„დედა ენა“ ღრმა თეორიულ-მეცნიერულ თვალსაზრისზეა აგებული. ამიტომ წერს იაკობი: „ყოველი პრაქტიკული გამოცდილება უსარგებლო და უაზრო მექანიკოსობაა და ამაოდ ჩაივლის, თუ მას წინ არ უძღვის მეცნიერული შესწავლა საგნისა, თუ საქმე მეცნიერულს პრინციპებზედ არ არის აშენებული“ (ი. გოგებაშვილი, თხზ., 5, 1957, გვ. 784). დედაენის გამართული სახელმძღვანელოს შედგენა არ შეუძლია გონებაგაუხსნელ კაცს, „არამედ განვითარებულს პირს, რომელსაც პედაგოგიურს გამოცდილებასთან მეცნიერება შესწავლილი აქვს“. თავად დიდ პედაგოგს კი, რომელსაც მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, ღრმა ენათმეცნიერული, პედაგოგიკური და ფსიქოლოგიური ცოდნა ჰქონდა, ამაყად შეეძლო ეთქვა: „სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი სახელმძღვანელონი არიან ნაყოფნი დედუქტიური მოსაზრებისა და პრაქტიკული გამოცდილებისა“.

სწორედ ასეთ მეცნიერულ თვალსაზრისზე აგებული სახელმძღვანელოები იქცა ეროვნული სკოლის ბურჯად, სხვაგვარად ეროვნული სწავლა-აღზრდის სისტემის შექმნა შეუძლებელი იყო. სხვაგვარად ვერ განხორციელდებოდა ის მიზანი, რასაც დიდი ილია ეროვნულ სკოლას მიზნად უსახავდა. „საერთო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულისყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსაჯულებასა და თვითმსჯელობას. საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გრძნობის და გულით გაღვიძებული კაცი იმდენად, რომ იგი საკუთარი ჭკუით და გულით გაუჭირებლივ გაუძღვეს იმ სულიერსა და ხორციელს პატარა მოედანს, საკა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით ილვწის და მოქმედებს“, (ი. ჭავჭავაძე, თხზ., IV, 1987. გვ. 193).

ი. გოგებაშვილმა შექმნა არა მხოლოდ დედაენის მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოები, არამედ ქართული სკოლისათვის რუსული ენის დიდებული სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“, რომელიც პირველად 1887 წელს გამოიცა. შემდეგ ეს სახელმძღვანელოც ორ ნაწილად გაიყო და ათეული წლების მანძილზე დიდი სამსახური გაუწია ქართველ ახალგაზრდობას რუსული ენის შესწავლის საქმეში. „რუსკოე სლოვო“ მეფისდროინდელ რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი ერების სკოლების ყველაზე უკეთესი რუსული ენის სახელმძღვანელოდ ითვლებოდა, რაც ოფიციალურად აღიარებული იყო განათლების სამინისტროსა და სამეცნიერო უწყებების მიერ.

ი. გოგებაშვილმა შექმნა არა მხოლოდ ქართული და რუსული ენების უბადლო სახელმძღვანელოები, არამედ ქართული ენის სწავლების მეცნიერული მეთოდიკა და ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების მეთოდიკა.

ი. გოგებაშვილის ზოგადი დიდაქტიკა წარმოადგენს კერძო დიდაქტიკაში მოპოვებული მეცნიერული მიღწევების განზოგადებულ თეორიას, სწავლა-აღზრდის ორიგინალურ სისტემას, რომელიც ეყრდნობა უბერებელ პრინციპებს, მეცნიერულ თვალსაზრისს და ღრმად ეროვნულია. ამასთან ერთად, ი. გოგებაშვილი შორსაა ვიწრო ეროვნული კარჩაკეტილობისაგან, იგი დიდი პატივისცემით ეპყრობა სხვა ერთა ცივილიზაციას, სხვათა კულტურის სუვერენიტეტს და, ამდენად, კაცთმოყვარეობის საკაცობრიო იდეალებს ემსახურება. იგი წერს: „როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონებისათვის, არამედ საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ახლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავამაღლოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა“ (ი. გოგებაშვილი, თხზ. I, 1952, გვ. 373).

ი. გოგებაშვილი ქართველი კაცის ალალ ჰუმანურ ბუნებას ამზეურებს, როცა ხმამაღლა აცხადებს: ყოველი კაცი „ყველა ადამიანს უნდა უყურებდეს განურჩევლად წარმოშობისა და ეროვნებისა, როგორც თანასწორ ძმებს და უღირსად თვლიდეს და ზიზღით ეპყრობოდეს მდაბიო ინსტიქტებით შეპყრობილ იმ ადამიანებს, რომლებიც სარგებლობენ ადამიანთა ეროვნული განსხვავებით და შუღლსა და მტრობას სთესენ მათ შორის“ (იქვე. გვ. 145).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ი. გოგებაშვილს თავიდანვე შეჰქონდა დედაენის სახელმძღვანელოებში სალვთისმეტყველო მასალა, ვინაიდან ქრისტიანულ სარწმუნოებას თვლიდა ეროვნული, ჰუმანური და ზნეობრივი აღზრდის აუცილებელ საშუალებად. დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ მას ხელნაწერის სახით დარჩა თავისი მადლიანი ენით დაწერილი საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო, რომელიც ახლახან „მერანმა“ გამოსცა.

იაკობ გოგებაშვილის აზრით, ყოველ თავისუფალ ერს შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში თავისი სხვადასხვა სახის სულიერი მონაპოვარი, „რომელნიც ავსებენ შეერთებულად მსოფლიო კულტურის მსოფლიო ზღვასა. ერთმა წარჩინებულმა მწერალმა კაცობრიობა დაადარა მგალობელთა დიდ გუნდსა, ხოროსა, რომლის ჰარმონია მხოლოდ მაშინ არის სავსე და სრული, როდესაც ყველა ხალხი, თავისი შესაბამისი ხმით იღებს მონაწილეობას მსოფლიო ღაღადისში. შეწყდა რომელიმე ერის ხმა? გაღარიბდა კაცობრიობის ხოროს ჰარმონია, შესუსტდა მსოფლიო ღაღადისი, დანაკლულდა ზღვა თავისებურებისა, მიაკლდა ერთი თავისებური ლალი კაცობრიობის კულტურის საგანძურსა“ (ი. გოგებაშვილი, თხზ., I, 1954, გვ. 239).

იაკობ გოგებაშვილის ძვირფასი პროგრესული მემკვიდრეობა ქართული ეროვნული კულტურის, ეროვნული სკოლის ურყევი საიმედო ბურჯია, ქართული პედაგოგიკური და მეთოდიკური მეცნიერების განვითარების საფუძველია; მისი უბადლო სახელმძღვანელოები, რომლებიც მონუმენტურ დიდაქტიკურ პრინციპებზეა აგებული, დღეს საფუძვლად უდევს დედაენის სახელმძღვანელოებს, მის მიერ შექმნილი მაღალმხატვრული საბავშვო ლიტერატურა კი ქართველი ახალგაზრდობის სულიერი, ზნეობრივი, პატრიოტული და ესთეტიკური აღზრდის მძლავრი საშუალება და თავანკარა წყაროა.

ვალერიან რამიშვილი.

უცხოეთში

საქდესი [illegible]
18 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

გაავრცელეს ოფიციალურ დოკუმენტად

ნიუ-იორკი. აქ გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს საბჭოთა მემორანდუმი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციების როლი მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულებაში“. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია „მრავალმხრივი თანამოქმედების, უპირველეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი დაწესებულებების მექანიზმისადმი“ სსრ კავშირის მიდგომის ძირითადი დებულებანი.

საბჭოთა კავშირი მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განახლების, სახელმწიფოთა მოქმედების შეთანხმების ნამდვილ ცენტრად მისი გადაქცევის მზარდ პროცესს, ნათქვამია მემორანდუმში. ავტორებმა აღნიშნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში სიმძიმის ცენტრის გადატანა პრაქტიკულ საქმეებზე. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საჭიროა დავძლიოთ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ხელოვნური პოლიტიზაცია, გავათავისუფლოთ დისკუსიები უნაყოფო პოლემიკისაგან. ხაზგასმით არის აღნიშნული საერთაშორისო მართლწესრიგის განმტკიცების, სამართლის პრიმატის იდეის წინსვლის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

◆ **აშშ**

თეთრი სახლი „ხელ-ფეხს უხსნის“ უებსტერს

ვაშინგტონი. თეთრმა სახლმა არსებითად მხარი დაუჭირა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორს უილიამ უებსტერს, რომელმაც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მოუწოდა პრეზიდენტსა და კონგრესს „ხელ-ფეხი გაუხსნან“ მის უწყებას საზღვარგარეთ სახელმწიფო გადატრიალებათა ინსპირირებასა და განხორციელებაში.

სამშაბათს გამართულ ბრიფინგზე თეთრი სახლის პრეს-მდივანმა მ. ფიცუოტერმა განაცხადა: „ჩვენ, უდავოდ, ვეთანხმებით ყოველივე იმას, რაც უებსტერმა თქვა“.

ამჟამად ჯ. ბუშის ადმინისტრაცია ცდილობს მიაღწიოს ურთიერთგაგებას კონგრესთან იმ მიზნით, რომ „შეამცირონ შეზღუდვები“ საზღვარგარეთ სახელმწიფო გადატრიალებათა მხარდაჭერის საკითხში, აღნიშნა ფიცუოტერმა. დაგეგმილი ცვლილებები, ამტკიცებდა იგი, არ ნიშნავს პრეზიდენტის აღმასრულებელ ბრძანებულებაზე უარის თქმას, რომელიც კრძალავს პოლიტიკური მოტივებით უცხოელ ლიდერთა მოკვლას. მაგრამ ისინი საშუალებას მისცემენ შეერთებულ შტატებს „კონტაქტები დაამყაროს შეთქმულების ორგანიზატორებთან“, რომელსაც შეიძლება ქვეყნის ლიდერის დაღუპვა მოჰყვეს. ჩვენ არ გვსურს დეტალებზე საჯარო საუბარი, თქვა პრეს-მდივანმა.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, ხომ არ ნიშნავს ფიცუოტერის ნათქვამი იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ იკისრებს ქვეყნის ლიდერის პოლიტიკურ მკვლელობას, მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს გადატრიალების მონაწილე, რომლის შედეგი სახელმწიფოს ხელმძღვანელის დაღუპვა იქნება, თეთრი სახლის წარმომადგენელმა უპასუხა: „დიახ, ეს სწორია“.

პრეზიდენტის აღმასრულებელი ბრძანებულება, რომელიც კრძალავს ამერიკელთა მონაწილეობას პოლიტიკურ მკვლელობათა დაგეგმვასა და განხორციელებაში, მიიღეს 13 წლის წინათ იმ აშკარა მხილებათა შედეგად, რომლებიც მოჰყვა კონგრესში გამართულ მოსმენებს ფიდელ კასტროზე, პატრის ლუმუმბასა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებზე თავდასხმის მომზადებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს როლის შესახებ.

ბუნება და სტიქია

მიწისძვრა კალიფორნიაში

ვაშინგტონი. ტრაგიკული ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს: სან-ფრანცისკოში, ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროს ერთ-ერთ უდიდეს საქმიან და სამრეწველო ცენტრში, მოხდა ძლიერი მიწისძვრა.

განსაკუთრებით ძლიერი ბიძგები იგრძნობოდა სამშაბათს ჩრდილოეთ კალიფორნიაში. ათბალიანი სკალის მიხედვით მიწისქვეშა ბიძგების ძალამ 6,5-7 ბალს მიაღწია. ბიძგები გრძელდებოდა დაახლოებით 15 წამს.

მწყობრიდან გამოვიდა კომუნიკაციებისა და კავშირგაბმულობის ხაზები, დაირღვა სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირი. სან-ფრანცისკოს ყურეში დაინგრა ხიდი, რომელიც ქალაქს მეზობელ ოკლენდს უკავშირებს. წყალში აღმოჩნდნენ ადამიანები, თუმცა ჯერ ცნობილი არ არის რამდენია მათ შორის დაღუპული და დაჭრილი.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, ეს უდიდესი მიწისძვრაა, რომელიც კი ახსოვთ სან-ფრანცისკოს ყურის ზონაში მცხოვრებ ამერიკელებს. პასადენის კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ახლანდელი მიწისძვრა უფრო ძლიერია, ვიდრე 1971 წელს სამხრეთ კალიფორნიაში რეგისტრირებული მიწისქვეშა ბიძგები.

წინასწარი მონაცემებით, მიწისძვრის შედეგად კალიფორნიაში დაიღუპა 50-ზე მეტი კაცი.

● **შვეცია**

მიენიჭა ნობელის პრემია

სტოკჰოლმი. შვეციის მეცნიერებათა სამეფო აკადემიამ 1989 წლის ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში მიანიჭა ნორვეგიელ მეცნიერს ტრიუგვე ჰააველმოს. მისმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ეკონომეტრიის განვითარებაში, რომელიც სწავლობს ეკონომიკური ობიექტებისა და პროცესების კონკრეტულ რაოდენობრივ ურთიერთკავშირს მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდებისა და მოდელების მეშვეობით. მის მიერ მეცნიერებაში შემოღებულმა ცნებებმა ამ სფეროში კვლევის ტერმინოლოგიური საფუძველი შექმნეს. ახალმა ლაურეატმა საგრძნობი წვლილი შეიტანა ინვესტიციებისა და ეკონომიკური განვითარების თეორიის დამუშავებაში.

ფოტოინფორმაცია

● **საფრანგეთი.** „კარტიეს ფონდი თანამედროვე ხელოვნების სასარგებლოდ“ არც ისე დიდი ხნის წინათ — 1984 წელს გაიხსნა. მაშინ საფრანგეთის ეს უდიდესი საიუველირო ფირმა „კარტიე“ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით შეეცადა დაენერგა თანამედროვე მეცენატობის ახალი ფორმა — პარიზის მახლობლად სპეციალურად ნაყიდ მიწის ნაკვეთზე მოაწყო უჩვეულო საგამოფენო კომპლექსი, მხატვართა ატელიე. XVIII საუკუნის კოშკის გვერდით აიგო „ხელოვნებათა სოფელი“, სადაც იმართება დროებითი გამოფენები, კონფერენციები, ვიდეოხელოვნების სეანსები. ვრცელ პარკში დადგმულია თანამედროვე ფრანგ და უცხოელ ავტორთა ფონდის შეკვეთით შესრულებული ან მის მიერ შეძენილი სკულპტურული ნაწარმოებები.

სურათზე: ფრანგი მოქანდაკის არმანის ყველაზე ცნობილი ნაწარმოები „მარადიული სადგომი“ (1982 წელი).

საქდესის ფოტო.

შემთხვევა

ფუტკრის მსხვერპლი

ლაგოსი. ველური ფუტკრის ნაყარი მოულოდნელად შეიჭრა ნიგერიის კვარას შტატის სოფლის ერთ-ერთ ეკლესიაში საკვირაო წირვის დროს და თავს დაესხა მრევლს. აბეზარი მწერებისაგან თავის გადასარჩენად მრევლი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. 40 წლის მღვდელი ჯეიკობ ოგუნბაიოვუ შეეცადა ფუტკრების გარეკვას, მაგრამ ამით მხოლოდ გაალიზიანა ისინი და მათი მრავალი ნაკბენის შედეგად გარდაიცვალა. იტყობინება რა ამ ამბავს, გაზეთი „დეილი ჩემპიონი“ წერს, რომ ფუტკრები უნებლიედ შეაწუხა ერთ-ერთმა გლეხმა, რომელიც ეკლესიის მახლობლად მუშაობდა.

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა 1989 წლის „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის" მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნამუშევრები და გადაწყვიტა კენჭისყრისათვის დაუშვას შემდეგი კანდიდატურები:

ლიტერატურის დარგში

ბერულავა ხუტა მიხეილის ძე, მწერალი—მოთხრობებისათვის „ბიჭი, რომელსაც ჩიტის გული ჰქონდა".

წარმოადგინა საქართველოს მწერალთა კავშირმა.

სახვითი ხელოვნების დარგში

1. **ერისთავი დიმიტრი ვახტანგის** ძე, მხატვარი — გრაფიკული ნამუშევრებისათვის „ქართველ ხელოვანთა პორტრეტები" და ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?" ილუსტრაციებისათვის (1988).

წარმოადგინა საქართველოს მხატვართა კავშირმა.

2. **გოცაძე თეიმურაზ გიორგის** ძე მხატვარი — ბოლო ორ წელიწადში შექმნილი ფერწერული ნამუშევრებისთვის — „როცა ეპოქა დასრულდა დიდი". წარმოადგინა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ.

მუსიკალური ხელოვნების დარგში

ხეფიაშვილი ჭემალ მიხეილის ძე, კომპოზიტორი, **ფოცხიშვილი მორის თომას** ძე, პოეტი— 1989 წლის აპრილის დღეებში შექმნილი სიმღერისათვის — „ვაჩუქოთ ერთმანეთს შიტები".

წარმოადგინეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ.

თეატრალური ხელოვნების დარგში

ჩაკვეტაძე გიორგი სერგოს ძე, რეჟისორი, **როსტომაშვილი თამაზ გიორგის** ძე, მხატვარი, **იანტბელიძე ივანე გლახოს** ძე და **ხუნაშვილი თემურ ბაგრატის** ძე, მსახიობები — თამაზ ჭილაძის პიესის „ნახვის დღის" დადგმისათვის თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ.

კინოსა და ტელევიზიის დარგში

1. **მანაგაძე ნოდარ შოთას** ძე, რეჟისორი, **ახვლედიანი ერლომ სერგოს** ძე და **ჭავახიშვილი დავით გიორგის** ძე, სცენარის ავტორები, **მიქელაძე გრიგოლ არტაშის** ძე, მხატვარი — მხატვრული ფილმისათვის „ეი, მაესტრო!".

წარმოადგინა კინოსტუდია „ქართული ფილმის" კოლექტივმა.

2. **ჭიაურელი ანდრო რამაზის** ძე, რეჟისორი, **ფაილოძე გიორგი ირაკლის** ძე, ოპერატორი, **ბოკერია ლამარა ვარლამის** ასული, სცენარის ავტორი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისათვის „პრილობა" (1988).

წარმოადგინა სახტელერადიომ.

არქიტექტურის დარგში

გვახალია ნელი ვახტანგის ასული, მეტრეველი გივი გიორგის ძე, მელიქიშვილი დიმიტრი ალექსანდრეს ძე, ხოჯავა თეიმურაზ გიორგის ძე, არქიტექტორები, **სტურუა ციალა ალექსანდრეს ასული,** ინჟინერ-კონსტრუქტორი, — სასტუმრო „რუსთავის" არქიტექტურული გადაწყვეტისათვის (ქ. რუსთავი).

წარმოადგინა საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა.

პუბლიცისტიკის დარგში

1. **ფანჯიკიძე გურამ ივანეს** ძე, მწერალი — 1988-1989 წლებში პუბლიცისტური წერილებისა და ნარკვევებისათვის.

წარმოადგინა გამომცემლობა „მერანმა".

2. **მარდალეიშვილი ვილენ ვენედიქტეს** ძე, ჟურნალისტი — მხატვრულ-პუბლიცისტური წერილების კრებულისათვის „რედაქციიდან გაწუხებთ".

წარმოადგინა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტი გთხოვთ გამოხმაურებანი კანდიდატურათა შესახებ გამოგვიგზავნოთ მისამართით: 380018, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 8. სახელმწიფო პრემიების კომიტეტი. ტელეფონი: 93-76-04, 99-64-82.

ვისაც სურს, პირადი წვლილი შეიტანოს

პატივცემულო საზოგადოებავ, ალბათ იცით, რომ რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივას, დაფუძნებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს იუნესკოს საბჭოს განათლების ფონდი უცხოეთის სასწავლო ცენტრებში მოსწავლეების, სტუდენტების, ასპირანტების, სტაჟიორების, მენეჯერების გაგზავნის ორგანიზება-დაფინანსების მიზნით.

დღეს წარმოუდგენლად გვესახება გაპარტახებული ქართული სახალხო მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების აღორძინება საერთაშორისო რანგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობის გამო, ხოლო საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული კადრების ინტენსიური მომზადება საიმედო გარანტი შეიქმნება ქართველი ერის წინაშე არსებული გლობალური პრობლემების გადასაჭრელად.

ძვირფასო მეგობრებო, თანამემამულენო, არცთუ ისე შორეულ მომავალში შესაძლებელია ახალგაზრდების ძალისხმევით დაისახოს ის კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განუხორციელებლად საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური სუვერენიტეტის იდეა იდეადვე დარჩება.

ყოველ დაინტერესებულ პირს, სამინისტროებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, ვისაც კი სურს პირადი წვლილი შეიტანოს სამშობლოს აღზევების და დამოუკიდებლობის საქმეში, საშუალება აქვთ ნებაყოფლობითი შეწირულობებით დაეხმარონ საქართველოს იუნესკოს საბჭოს განათლების ფონდს.

განათლების ფონდი სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე ორგანიზაციაა. აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიში ბანკში, რომლის მისამართია:

380027, თბილისი, კიროვის ქუჩა № 3/5, სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკი, საქართველოს რესპუბლიკური ბანკი, კოდი 805227.

სავალუტო ანგარიშის ნომერია 947290108.

მიმდინარე ანგარიშის ნომერი მანეთობით — 70000508.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული იუნესკოს საბჭოს განათლების ფონდი.

პრესკონფერენცია რკინიგზების სამინისტროში

მოსკოვი. უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში სომხეთში 7190 რკინიგზის ვაგონით ჩაიტანეს სხვადასხვა ტვირთი, მათ შორის 503 ვაგონით — სურსათი, 404 — ბენზინი, 63 ვაგონით — საავიაციო საწვავი. ეს განაცხადა დღეს სსრ კავშირის რკინიგზების მინისტრის მოადგილემ ვ. ნ. ბუტკომ. სსრ კავშირის რკინიგზების სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება ამიერკავკასიაში სარკინიგზო მიმოსვლის მოსაწესრიგებლად.

როგორც მან თქვა, უფრო ინტენსიური გახდა შემადგენლობების მოძრაობა ნორაშენის, იჯევანის, ბეიუკ-კიასიკის მიმართულებებით.

თანდათანობით ნორმალური ხდება სიტუაცია რეგიონში, მატარებლების მოძრაობა გაიხსნა, განაცხადა სსრ კავშირის პროკურატურის ტრანსპორტზე კანონთა შესრულების სამმართველოს უფროსმა ა. ნ. შკრებეცმა. მაგრამ ვითარების გაჯანსაღებას ხელს უშლის ეროვნებათშორისი უთანხმოების ნიადაგზე წარმოქმნილი ექსცესები. ზოგიერთ რაიონში კვლავ დაძაბულობაა, ხდება შეტაკებები, სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულობანი.

ინთება რამპის ჩირაღდნები

პოეზია უპირველეს ყოვლისა!..

გალაკტიონის ეს სიტყვები თამამად შეიძლება გაითავისონ პოეზიის თეატრის მესვეურებმა!

თავისი მეორე სეზონი თბილისის კულტურის სამმართველოსთან არსებულმა ამ ახალმა სახელმწიფო თეატრმა პრემიერით გახსნა — ეს გახლავთ სპექტაკლად წარმოდგენილი „რამდენიმე ამბავი ვეფხისტყაოსნიდან", რომლის რეჟისორია ამ თეატრის სულისჩამდგმელი და სამხატვრო ხელმძღვანელი მიხეილ კინწურაშვილი.

სპექტაკლს კომპოზიციურად ცოცხალი სურათების ხასიათი აქვს. აქ უმთავრესია რუსთაველის „მარგალიტი წყობილის" მხატვრული ამეტყველება.

16 ოქტომბერს თბილისელებმა მეორედ ნახეს ეს წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობენ ქეთი აბულაძე, ლია ქობულაძე, ნუკრი კოკაია, დავით ბერძენიშვილი, ლანა ფელდმანი, მიხეილ კინწურაშვილი. მხატვარია მარინე გაბიტაშვილი. სპექტაკლის მუსიკალური ფონისათვის გამოყენებულია ფრაგმენტები ალექსი მაჭავარიანის ბალეტიდან „ვეფხისტყაოსანი". ეს სპექტაკლი აგვისტო-სექტემბერში რიგელებმაც ნახეს, სადაც ქართველები ასეთმავე თეატრმა „კაბატამ" მიიწვია. მასპინძლები მოიხიბლნენ სტუმრების ხელოვნებით, ქართული სიტყვის კეთილხმოვანებით.

მართალია, პოეზიის თეატრს საკუთარი შენობა არა აქვს, ამჯერად იგი აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა შეიკედლა, მაგრამ მათთვის დარბაზი გათვალისწინებულია რესპუბლიკის მოედნის ქვეშ. თავდაპირველად კი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში დაიდო ბინა ამ თეატრმა — პირველი სპექტაკლიც ბარათაშვილის პოეზიაზე იყო აგებული. ამჯერად პაოლო იაშვილის პოეზიაა ყურადღების არეში და მათთვის უკვე ტრადიციული „საყვარელი ნაწარმოები", რომელიც თავისუფალი არჩევანის საშუალებას აძლევს სხვადასხვა თეატრიდან მოწვეულ ათ მსახიობს. ჯერჯერობით ეს მოწვეული მსახიობების თეატრია და ამიტომაც მხოლოდ ორშაბათობით ეთმობათ სცენა.

ამ ორშაბათს გამართული წარმოდგენა თეატრმა ნერაზ კოსტავას ხსოვნას მიუძღვნა და შემოსავალიც საქველმოქმედო მიზნით გადაირიცხება.

ნანა ღვინეფაძე.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი



ნაღვლიანი მზერა. კახა ჩხატარაიშვილის ფოტო.

ლეგენდა და სინამდვილე

ობელისკის საიდუმლოება

სურამის სარკინიგზო გვირაბის დასავლეთ პორტალთან აღმართულია გრანიტის ობელისკი. თითქმის საუკუნე გადის ამ ობელისკის აგებიდან და დღემდე გრძელდება აზრთა სხვადასხვაობა მის გარშემო. ადგილობრივ მკვიდრთა და მგზავრთა აბსოლუტურ უმრავლესობას ჰგონია, რომ ობელისკის აგება თითქოს გვირაბის მთავარი ინჟინრის თვითმკვლელობასთან იყოს დაკავშირებული.

ჩვენში ფართოდ არის გავრცელებული ლეგენდა, რომ მთავარმა ინჟინერმა დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა — გვირაბის წარმმართველი ღერძები ასცდნენ ერთმანეთს, რისთვისაც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა კაცმა თავი მოიკლაო. ორიოდე დღის შემდეგ გვირაბები თურმე ზუსტად შეერთებულან. რაკი ინჟინრის სიმართლე გაირკვა, პატივისცემის ნიშნად მას ობელისკი აუგეს. ეს ვერსია გამოგონილია. რთული რელიეფის გამო გვირაბების შეერთება ორიოდე დღით მართლაც დაგვიანებულა, მაგრამ ამას არავითარი ტრაგედია არ გამოუწვევია, თავი არავის მოუკლავს.

მაშ, რისთვის აღმართეს ობელისკი, ან რატომ არა აქვს მას წარწერა?

მცირე ექსკურსი წარსულიდან. 1883 წლიდან, მას შემდეგ, რაც დამთავრდა კასპიისა და შავი ზღვების რკინიგზით შეერთება, აშკარა აღმავლობა დაეტყო ამიერკავკასიაში მრეწველობის განვითარებას, მკვეთრად გაიზარდა ტვირთის ნაკადიც. სურამის უღელტეხილის რთული საგზაო პროფილი კი დიდად აფერხებდა ტვირთზიდვას, ხელს უშლიდა ბაქოს ნავთის საგარეო ბაზრობაზე და ქვეყნის შიგნით გადაზიდვას.

ძველ, 1872 წლიდან არსებულ ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზე, რომელიც სურამის უღელტეხილს ღია ხაზით კვეთდა, სამი პატარა ვაგონისაგან შემდგარ მატარებელს ძლივს მიათრევდა „ფერლის" სისტემის ორი ორთქლმავალი. სადგურ ხაშურსა და ბეჟათუბანს შორის აღმართ-დაღმართებში მატარებლის სიჩქარე 10 ვერსს არ აღემატებოდა საათში, ხშირი იყო ავარია, რასაც თან სდევდა მგზავრთა მსხვერპლი. ამ სიძნელეთა დასაძლევად საჭირო შეიქნა სურამის უღელტეხილზე გვირაბის გაყვანა და აი, 1886 წლის 9 ივნისის თარიღით გამოიცა კიდეც რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III რესკრიპტი, რომელიც იუწყებოდა:

„ვინაიდან აუცილებელი აღმოჩნდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე სურამის უღელტეხილის გადაკვეთება, ვბრძანებ: გაიცეს სათანადო განკარგულება, რათა კერძო მფლობელებმა გაასხვისონ მიწა და სხვა ქონება, რომელიც ამ დანიშნულებისათვის იქნება საჭირო; სამაგიეროდ აუნაზღაურდეთ მათ გასხვისებული ქონების საფასური — სარკინიგზო საქმეზე არსებული, უკვე დაკანონებული მთავრობის დადგენილებათა სრული შესაბამისობით".

ამ რესკრიპტის საფუძველზე 1886 წლის დამლევს დაიწყო სურამის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რუსეთში საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ინჟინერი ფერდინანდ დონატის ძე რიძევსკი.

სურამის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე ერთდროულად 2 ათასამდე მუშა მუშაობდა. ინჟინრების, მნაღმავების, მბურღავების, კალატოზების, დურგლებისა და ზეინკლების უმრავლესობა საზღვარგარეთიდან მოუწვევიათ. სამაგიეროდ საშენი მასალები, მცირე გამონაკლისის გარდა, საქართველოში მოუპოვებიათ: გრანიტი — გელათისა და წიფის კარიერებიდან; ბაზალტი — ბორჯომის ხეობიდან; კირი — ბელაგორის (ხარაგაული), სურამისა და წიფის კარიერებიდან; ხე-ტყე — ბორჯომის ხეობიდან; ცემენტი — ნოვოროსიისკის ქარხნიდან; სილა — ძეგვის კარიერიდან. 4 წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ, 1890 წლის 28 სექტემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სურამის სარკინიგზო გვირაბის უნიკალური ნაგებობა. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად ზარაფხანაში მოუჭრიათ ბრინჯაოს დიდი მედალი, რომელიც 220 გრამს იწონიდა, ხოლო მიმღებ კომისიას ამ ობიექტის მშენებელი ინჟინრის რიძევსკისათვის მადლობა გამოუცხადებია. რაც შეეხება ობელისკს, იგი აუგიათ გვირაბის მშენებლობის დამთავრების სამი წლის შემდეგ, 1893 წელს. კავკასიაში მგზავრობის დროს, 1888 წელს გვირაბის მშენებლობა დაუთვალიერებია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III და დედოფალ მარია ფეოდოროვნას, რომლებსაც თან ხლებიათ უფლისწული ნიკოლოზი, შემდეგ ნიკოლოზ II-დ წოდებული. სურამის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობის დამთავრებიდან 3 წლის შემდეგ, თბილისის ვაჭართა დეპუტაციის მიუმართავს კავკასიის მეფისნაცვლის დუნდუკოვ-კორსაკოვისათვის, რომ კავკასიაში რუსეთის იმპერატორის ყოფნა რაიმე ძეგლით აღენიშნათ, რისთვისაც ისინი მზად იყვნენ გაეღოთ მსხვილი თანხა. მეფისნაცვალს ეს აზრი მოსწონებია და გადაუწყვეტია — ყველაზე დიდ ნაგებობასთან, რომელიც კი რუს ხელმწიფეს ინახულა, დაედგათ ობელისკი. ასეთ ნაგებობად კი — სურამის სარკინიგზო გვირაბი მიუჩნევიათ და ობელისკიც მის მახლობლად დაუდგამთ. გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" ობელისკის დადგმის ცერემონიალი ასეა ფიქსირებული:

„1893 წლის ივლისს, ხუთშაბათს, დღის 12 საათზე, ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ წიფის მახლობლად, გვირაბის შესასვლელთან აკურთხეს და გახსნეს ობელისკი, რომელიც აიგო მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ალექსანდრე III 1888 წლის 12 ოქტომბერს სურამის გვირაბის მშენებლობის დათვალიერების სამახსოვროდ... ობელისკი დამზადებულია რუხი გრანიტისაგან, შედგება ხუთი მთლიანი ქვისაგან, თითოეული 600-დან 900 ფუთამდე იწონის. ობელისკი გრანიტის კვარცხლბეკზე დგას, წვერზე აქვს მოოქროვილი სფერო, რომელსაც დიდი შავი ორთავიანი არწივი აზის. ობელისკის სიმაღლე 3 საჟენზე მეტია".

ამ ობელისკს ახლა არც მოოქროვილი სფერო აქვს წვერზე, არც ორთავიანი არწივი აზის და არც ბრინჯაოს დაფა აქვს წარწერით. ამ „ზედმეტი" ატრიბუტებისაგან ის საგულდაგულოდ „გაუსუფთავებიათ" 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდში. ეულად დარჩენილი ობელისკი დროთა ვითარებაში ლეგენდების გავრცელების ობიექტად ქცეულა. როგორც კი წიფის გვირაბს მიუახლოვდება, მგზავრები თავმოგლეჯილი ობელისკისკენ მიაპყრობენ ხოლმე მზერას და ერთხელ კიდევ გაიხსენებენ ინჟინრის თვითმკვლელობის ლეგენდას.

ნუთუ სურამის სარკინიგზო გვირაბის გაყვანის 100 წლისთავზე მაინც, რომელიც მომავალ, 1990 წელს სრულდება, არ დადგა დრო ობელისკზე წარწერის განახლებისა და მისი შემოგარენის კეთილმოწყობისა?

ჩვენმა წინაპრებმა უნიკალური სარკინიგზო გვირაბი აგვიშენეს, ჩვენ კი ასი წლის შემდეგ ის მაინც აღვადგინოთ, რაც ჩვენივე უნიათობით და ყოვლად გაუმართლებელი მოსაზრებებით დავანგრიეთ. ლეგენდად ქცეულ რიძევსკის კი იქნებ ახლა მაინც მივაგოთ ღირსეული პატივი, თუნდაც მისი ბიუსტის დადგმით. კაცმა, რომელმაც ესოდენ დიდი საქმე გააკეთა ხალხისათვის, უთუოდ ღირსია ასეთი პატივისცემისა და დაფასებისა.

ვინც წიფაში ყოფილა და გვირაბის მარჯვენა მხარეს, დანგრეული ეკლესიის ეზოში, სოფლის სასაფლაო დაუთვალიერებია, შეამჩნევდა მსხვილი რგოლებიანი ჯაჭვით შემორაგულ ძველ საფლავს კონუსისებური დაბალი ობელისკით. აქაც ქვაზე ამოტვიფრული წარწერა დიდი ხანია ამოუგლეჯიათ. ბედად წიფელებს დღემდე შემოუნახავთ ხსოვნა იმ ღირსეული უცხოელისა, ამ საფლავში რომ განისვენებს. ეს გახლავთ ერთ-ერთი გვირაბგამყვანი, იტალიელი ინჟინერი ბრანდაო. იგი გვირაბების ორივე მხრიდან შეერთების რამდენიმე კვირის შემდეგ გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით ქვერნაძის სახლში. დიდი დამსახურების გამო ინჟინერი ბრანდაო პატივისცემით დაუკრძალავთ რკინიგზელებს და პატარა ობელისკიც აღუმართავთ მისთვის. ეს დამსახურება კი იმაში მდგომარეობს, რომ მას, გვირაბის გაყვანის დროს გამოუგონია ჰიდრავლიკური საბურღი მანქანა, რომელიც დღეს „ბრანდტის" სახელწოდებითაა ცნობილი. ახალშექმნილ მანქანას ადამიანთა შრომა საგრძნობლად გაუიოლებია და მუშაობაც დაუჩქარებია. ვინ იყო ის უღვთო ადამიანი, რომელმაც ასეთი ღვაწლმოსილი ინჟინრის საფლავს მსახვრალი ხელი შეახო?

ვინ უნდა შეასრულოს ეს მეტად საპატიო და საჭირო სამუშაოები, თუ არა ხარაგაულის რაიონმა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ? საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნას, ისტორიული სიმართლის აღდგენას და გვირაბის ორივე პორტალისწინა მოედნებისათვის მეტი მონუმენტალობის მინიჭებას — ყველა მგზავრი, მთელი ამერ-იმერი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდება.

ელიზბარ უბილავა.

საცურაო აუზი ქარხანაში

კასპი. („კომუნისტის" საკ. კორ.). ქარხანა „კასპიელექტროაპარატის" ტერიტორიაზე უზარმაზარი ნაგებობა წამოიმართა. ეს არის დახურული საცურაო აუზი, რომელიც ეს-ეს არის გადაეცა საექსპლოატაციოდ.

25-მეტრიან დახურულ საცურაო აუზს აქვს მაყურებლის ტრიბუნები, გასახდელები, საშხაპეები, სავარჯიშო ოთახები, სამედიცინო კაბინეტები.

საცურაო აუზი „კასპიელექტროაპარატის" კოლექტივმა ააშენა და, ბუნებრივია, ცურვის შემსწავლელთა სექციის პირველი მოწაფეებიც ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები არიან.

დახურული აუზის ცისფერ ბილიკებზე უკვე მოეწყო პირველი შეჯიბრებები.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, უმეტეს რაიონებში წვიმა, ზოგან ძლიერი, ჭექა-ქუხილით, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან დამით 15-20 მეტრი წამში.

ტემპერატურა — ბარში 16-21, მთაში 13-10, მაღალმთიანეთში 8-13 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგიერთ რაიონებში წვიმა, დასავლეთის ქარი — 9-14, ზოგან დღისით 15-20 მეტრი წამში.

ტემპერატურა — ბარში 18-23, მთაში 15-20, მაღალმთიანეთში 12-17 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით ხანმოკლე წვიმა, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, ქალაქის გარეუბნებში 15-20 მეტრი წამში.

ტემპერატურა — 23-25 გრადუსი სითბო.

წესი, რიგი და ჩვენ

ყაჩაღების კვალდაკვალ

კარგა ხანია სამტრედიაში, არც მის არემარეში ყაჩაღობა არავის გაეგონა. ამ ზაფხულს კი ხმა გავრცელდა — ღამ-ღამობით მოსახლეობას ყაჩაღები ესხმიან და ძარცვავენო. ჭორი და მითქმა-მოთქმა მალე ფაქტი და სინამდვილე შეიქნა, როცა შეშინებულმა და დათრგუნვილმა დაზარალებულებმა ბოლოს და ბოლოს გაბედეს და შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას მიმართეს.

სამტრედიის რაიონში ყაჩაღები პირველად 1 აგვისტოს გამოჩნდნენ. გვიან ღამით ხორავას ქუჩაზე ტიტე ძოძუაშვილის ოჯახს დაეცნენ, მასპინძელი ძაღლის ყეფაზე გამოვიდა გარეთ სტუმრის შესაგებებლად. მაგრამ ბანდიტებს შერჩა ხელში. ხმა არ ამოაღებინეს, შეკოჭეს და სახლში შეათრიეს. შინ სამნი იყვნენ. თავად ტიტე, მისი მეუღლე და მოხუცი დედა. თოფშემართული ნიღბიანი კაცები რომ დაინახეს, ქალებმა შეჰკივლეს, მაგრამ ცემით და მუქარით მალე გააჩუმეს ისინიც და ხელფეხშეკრულნი დაყარეს. ყაჩაღები ფულსა და ძვირფასეულობას მოითხოვდნენ, მაგრამ ძოძუაშვილებს ბევრი არაფერი აღმოაჩნდათ, ტიტეს მანეთიანი უპოვეს ჯიბეში, ხოლო მის მოხუც დედას პენსიიდან შემორჩენილი 20 მანეთიღა ედო სასთუმალქვეშ. ეს იყო და ეს ყაჩაღების მთელი ნადავლი. მართალია შემნახველი ბანკის წიგნაკიც წაიღეს 3000 მანეთის ანაბრიანი, მაგრამ ეს ხომ ჯერ ნაღდი ფული არ იყო, მისი ფულად ქცევა კი ერთობ სარისკო და სახიფათოა. ეტყობა, ყაჩაღები ამ „საქმიდან" მეტს მოელოდნენ, ამიტომ გაწბილებულებმა და განაწყენებულებმა სასტიკად ცემეს დამხვდურნი, მოხუციც კი არ დაინდეს.

ნაცემი, ნაწამები და შეშინებული ძოძუაშვილები სამი დღე გარეთ არ გამოსულან, პირში ხემსი არ ჩაუდვიათ, ვიდრე მეზობლებმა არ შეაკითხეს. ასეთ მდგომარეობაში რომ ნახეს, მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს. ძოძუაშვილები ისე იყვნენ შეშინებულები, საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგაც კარგა ხანს მილიციას არაფერი შეატყობინეს.

ამასობაში კი ბანდა მოქმედებდა. მალე ამ შემთხვევის შემდეგ ყაჩაღები სოფელ იანეთში თავს დაესხნენ ჟანიკო კოპალეიშვილის ოჯახს და გაძარცვეს. შუაღამე გადასული იყო, როცა ვიღაც მოადგათ კარზე და შეწუხებული ხმით შველას ითხოვდა. დიასახლისმა გახედა, 10-12 წლის ბიჭი იდგა მის წინ: გვიშველეთ ბიცოლა, ავარია მოგვივიდა, ორი ადამიანი უკანასკნელ დღეშია, სისხლით იცლებიან, თქვენთან მოგვასწავლეს, ცოლი და ქმარი ორივე ექიმებიაო, წამოიღეთ ბამბა და „ბინტი" და წამოდითო. ქალმა ქმარი და შვილი გააღვიძა. სასწრაფოდ გამოიტანა ყველაფერი, რაც შეიძლება საჭირო ყოფილიყო დაშავებულთა დასახმარებლად და გაეშურა. ამ დროს გამოცვივდნენ იქვე, ეზოში ჩასაფრებული შეიარაღებული ნიღბიანი ბანდიტები, მივარდნენ ქალს, ხმა, კრინტი არ დაძრაო, შეაბრუნეს სახლში, მამა და შვილიც ადვილად დაიმორჩილეს და ერთპირად გაძარცვეს ოჯახი. ჩაიდეს ფული, ძვირფასი ნივთები, ტანსაცმელი, თეთრეული, ყველაფერი, რაც კი ხელმოსაკიდი ებადათ, ბოლოს ქალმა გაბედა და თხოვა: ჩემს ვაჟიშვილს გარეთ გასასვლელი ერთი შარვალიც აღარ დარჩა და იქნებ მოწყალება მიიღოთ და დაუტოვოთო.

ერთი კვირაც არ იყო გასული, ამჯერად მეზობელ სოფელ დიდ ჯიხაიშში ვახტანგ ლეჟავას ოჯახს მიუხდნენ. ცოლ-ქმარმა ლეჟავებმა იმარჯვეს, მალე აუღეს ალღო ვითარებას. მიხვდნენ, რომ შუაღამის სტუმრები წმინდა სულები არ იქნებოდნენ, ეზოშივე შეეგებნენ მომხდურთ და განგაში ატეხეს, სოფელი გააღვიძეს. ბანდიტები დაფრთხნენ და გაიქცნენ.

გავიდა კიდევ ერთი კვირა. ახლა დიდიჯიხაიშელი მძღოლი რაულ დეისაძე ამოიღეს მიზანში. შეეცადნენ ისა და მისი მსუბუქი მანქანა გამოეყენებინათ თავიანთ საყაჩაღო საქმეში. მაგრამ დეისაძე არ დაემორჩილა, იყოჩაღა და დაუსხლტა ხელიდან.

სამტრედიის შინაგან საქმეთა განყოფილებისათვის ცნობილი გახდა თუ არა ყაჩაღთა ბანდის ამბავი, შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თვით განყოფილების უფროსი თეიმურაზ ჯიბლაძე.

შეგროვილი ინფორმაციების საფუძველზე გულდასმით შეისწავლეს ყაჩაღური მოქმედების ყოველი დეტალი. შეკრებილი მასალების ანალიზმა ჯგუფი დაარწმუნა, რომ ყაჩაღობის ყველა ეპიზოდში ერთი და იგივე პირნი მონაწილეობდნენ. ბანდიტები შეიარაღებულნი იყვნენ გლუვლულიანი და გადაჭრილი სანადირო თოფებით. ერთი ასეთი ცალლულიანი სანადირო თოფი ბოროტმოქმედს შემთხვევის ადგილზე დარჩა. აღმოჩნდა, რომ ეს თოფი ერთი იმათგანი იყო, აფხაზეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით რაიონში ატეხილი ხალხის მღელვარების დროს ახალგაზრდების ჯგუფმა განყოფილებიდან რომ მოიტაცა. დადგინდა ერთი საყურადღებო გარემოებაც: ბანდიტებმა კარგად იცოდნენ ხოლმე იმ ოჯახის ასავალ-დასავალი, რომელსაც გასაძარცვად ამოიღებდნენ მიზანში. იანეთში კოპალეიშვილების ოჯახზე თავდასხმისას ყაჩაღებმა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სიმულიაცია მოიგონეს მასპინძლის სახლიდან გამოსაყვანად, ე. ი. იცოდნენ, რომ ეს ექიმის ოჯახი იყო. ლეჟავების გაძარცვის დროს ოჯახის არასრულწლოვან ქალიშვილს დაუწყეს ძებნა, რომელიც იმ ღამეს შინ არ იყო. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ბანდიტთა შორის, თუ მეტი არა, ერთი მაინც ადგილობრივი მკვიდრი უნდა ყოფილიყო, რომელიც კარგად იცნობდა აქაურობას.

ყველაფერი ეს რომ გაირკვა და დაზუსტდა, ამის შემდეგ დაიწყო ყველა იმ პირთა მეთვალყურეობა, ვისზეც შეიძლებოდა ეჭვი მიეტანათ. გატარდა ზოგი სხვა ოპერატიული ღონისძიებაც, რაც გარკვეული მიზეზების გამო საგაზეთოდ და საჯარო ლაპარაკისათვის არ არის გათვალისწინებული.

ეჭვმიტანილთა მეთვალყურეობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დაედგინათ, ხვდებოდნენ თუ არა ერთმანეთს ეს საეჭვო პირნი და სად იყო მათი შეხვედრის ადგილი. თუ ასეთი შეხვედრები დადასტურდებოდა, მეტი საფუძველი ექნებოდათ ეფიქრათ, რომ ბოროტმოქმედთა კვალს ადგნენ. ჩეკისტურმა ალღომ არც უმტყუნათ: ერთ-ერთ ოჯახში მართლაც მიაკვლიეს ბუნაგს, სადაც ქალაქ ტოლიატიდან „საგასტროლოდ" ჩამოსული ქალების საზოგადოებაში დროს ატარებდნენ, ლოთობდნენ და ორგიებს მართავდნენ სწორედ ის ახალგაზრდები, რომლებზეც ეჭვი ჰქონდათ.

კვალს კი მიაგნეს, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე ექნებოდათ შეიარაღებულ ბანდასთან. მაგრამ ოპერაცია ზუსტად იყო მოფიქრებული და უხიფათოდაც ჩაატარეს, თუმცა რამდენიმე ბანდიტიდან მხოლოდ ორი მოიხელთეს, დანარჩენები გაუსხლტათ ხელიდან.

დაპატიმრებული არიან ძმები — 26 წლის ვალერიან ვლადიმერის ძე ჩურბინი და 23 წლის ალექსანდრე ვლადიმერის ძე ჩურბინი. ისინი ქართველები არიან, სოფელ დიდი ჯიხაიშის მკვიდრნი. იქვე დაამთავრეს საშუალო სასწავლებელი. ორივე უცოლშვილოა. მშობლები მუშა, პატიოსანი მშრომელი ადამიანები არიან. სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ბიჭები მცირე ხანს სამშენებლო ბლოკის დამამზადებელ საამქროში მუშაობდნენ თავიანთივე სოფელში, მაგრამ მუშაობას გული ვერ დაუდეს და ლუკმაპურის საშოვნელად ყაჩაღობის გზას დაადგნენ.

ეჭვმიტანილთა ოჯახების ჩხრეკისას ნაპოვნი იქნა გლუვლულიანი და გადაჭრილი სანადირო თოფები, ნიღბები, რეზინის ხელთათმანები, აგრეთვე ყაჩაღობის გზით დატაცებული ნივთები.

ეს და მრავალი სხვა მამხილებელი მასალები რომ წარადგინეს, ბრალდებულნი იძულებულნი გახდნენ გამოტეხილიყვნენ დანაშაულში. აღიარეს ზემოთ აღწერილი და ყაჩაღობის კიდევ სხვა ეპიზოდებში მონაწილეობა და ბანდის სხვა წევრებიც დაასახელეს.

მილიციის მუშაკთა საზრიანმა ოპერატიულმა მუშაობამ შესაძლებელი გახადა მალე აღეკვეთათ ბოროტმოქმედთა თარეში და საზოგადოება ეხსნათ საფრთხისა და ძალადობისაგან.

შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა თეიმურაზ ჯიბლაძემ გვითხრა, რომ ბოლო დროს სამტრედიის რაიონში, ისე როგორც ჩვენს რესპუბლიკაში და მთელ ქვეყანაშიც, გაიზარდა დამნაშავეობათა შემთხვევები, განსაკუთრებით გახშირდა პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი. ამის მიზეზების გარკვევას ალბათ ღრმა და სერიოზული ანალიზი სჭირდება, ხოლო, კერძოდ, ჩვენი რაიონის მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, დამნაშავეობის ზრდის ზოგი კონკრეტული მიზეზი შეიძლებოდა აქვე გვეთქვა: ქართლსა და აფხაზეთში მომხდარი ამბების გამო ჩვენი რაიონიდან მივლინებული იყო შინაგანი სამსახურის პირადი შემადგენლობის საგრძნობი ნაწილი. ამან ცხადია, შეასუსტა დამნაშავეობის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებანი. საყურადღებოა ისიც, რომ ბევრი უსაქმური და პოტენციური ბოროტმოქმედი სარგებლობს მომენტით და ეროვნული მოძრაობის სახელით დანაშაულს სჩადის. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მილიციის განყოფილებიდან აფხაზეთში მომხდარი ამბების იმ მღელვარე დღეებში დატაცებული თოფები შემდგომ ბანდიტებმა საყაჩაღოდ და საავკაცოდ გამოიყენეს.

მიხეილ მიქაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.
სამტრედია.

სპორტის ამბები

ჭადრაკი

კარპოვი და ტიმანი

ანატოლი კარპოვისა და იან ტიმანის გამარჯვებით დამთავრდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები. მათ ერთნაირი ანგარიშით 4,5:3,5 დაამარცხეს შესაბამისად არტურ იუსუპოვი და ჯონათან სპილმენი.

როგორც იცით, ბოლო მერვე პარტიის წინ ორივე მატჩში საყაიმო ანგარიში იყო. ბოლო პარტიაში კარპოვმა მთელი თავისი ძალა, ოსტატობა გამოამჟღავნა და უკვე 30-ე სვლაზე მეტოქეს იარაღი დააყრევინა. ტიმანი სპილმენის წინააღმდეგ შავი ფიგურებით თამაშობდა და ერთხანს უარესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ 22-ე სვლის შემდეგ უპირატესობას დაეუფლა. პარტია 55-ე სვლაზე შეწყდა.

საბოლოოდ, პროგნოზები გამართლდა — პრეტენდენტთა ტურნირის ფინალში ფავორიტები გავიდნენ. კარპოვისა და ტიმანის ფინალური შეხვედრა გაისად მარტში გაიმართება და 12 პარტია გათამაშდება. ამ მატჩსაც ლონდონი უმასპინძლებს. გამარჯვებული 1990 წლის ოქტომბერში გარი კასპაროვს შეხვდება.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს უმაღლესი ლიგისაკენ. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგ ტურში მათ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ბაქოს „ნეფთჩი". იმედია, დარჩენილ სამ ტურში „გურია" შანსს ხელიდან არ გაუშვებს (შეგახსენებთ, რომ ლანჩხუთელები 28 ოქტომბერს კრასნოდარში „ყუბანს" ეთამაშებიან. 2 ნოემბერს — ტაშკენტის „ფახთაქორს" უმასპინძლებენ, 5 ნოემბერს კი ასევე შინ შეხვდებიან უშუალო კონკურენტს — ალმა-ათის „კაირატს"). ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „შინიკი"-ბათუმის „დინამო" — 0:0, „კუზბასი"-ქუთაისის „ტორპედო" — 2:0, „გეოლოგი" — „ყუბანი" — 1:1. სტავროპოლის „დინამო"-„სპარტაკი" — 2:1, „ფაკელი" — ასკ როსტოვი — 4:0, „როსტსელმაში"-„მეტალურგი" — 0:0, ცსკა-„კოტაიკი" — 4:0, „დაუგავა"-„ტავრია" — 0:0, ასკ „კარპატი"-„ნისტრუ" — 2:3.

სპორტული ტანვარჯიში. შტუტგარტში (გფრ) მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა გაიმარჯვა გუნდურ ჩათვლაში — 587,270. მეორე ადგილი დაიკავეს გდრ-ის სპორტსმენებმა (580, 850), მესამე — ჩინელმა ტანმოვარჯიშეებმა (579,300).

კალათბურთი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატში მორიგი შეხვედრები გაიმართა: ტალინის „კალევი" — მოსკოვის „დინამო" — 89:94 (43:44), დონეცკის „შახტიორი" — ცსკა — 70:85 (42:41), ვილნიუსის „სტატიბა" — კაუნასის „ჟალგირისი" — 89:95 (32:42), ლენინგრადის „სპარტაკი" — ალმა-ათის ასკ — 70:76 (37:39). თბილისის დინამოელებმა რიგაში ადგილობრივ ვეფ-თან ითამაშეს და დამარცხდნენ — 91:106 (40:45).

ჩოგბურთი. ციურიხში დაიწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა (გფრ) მოუგო ამერიკელ პეტი ფენდიკს — 6:3, 6:1. ჰელენა სუკოვამ (ჩეხოსლოვაკია) — კლაუდია კოდე-კილშს (გფრ) — 7:5, 6:3.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 —მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 14.20 — ათლეტიზმი. 14.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იგორ გორბაჩოვი". 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 16.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. „საუკუნე ყვავილებთან" და „იტალიური ჩანახატები". 17.05 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.35 — „თუ კაცი გონიერია". ხულოს რაიონი (განმეორებით). 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.35 — კონცერტი. 19.15 — გარდაქმნის წახნაგები. „ზუგდიდის ჩაის ექსპერიმენტულ საწნეხ ფაბრიკაში". 19.40 — წერილის დღე. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ჩვენი პრესკონფერენცია (შეხვედრა საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრთან ნ. ნეფედოვთან. . 22.00 — „ვრემია". 22.40 — „მუსიკალური ტელეეკრანი". 24.00 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში: რიგის „ვეფი" — თბილისის „დინამო".

მეორე პროგრამა. 16.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.50 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.50 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე" I—II სერია. 20.00 — მოამბე. 20.35 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე" III სერია.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმები. 10.05 — ფილმ-კონცერტი. 10.45 — ფეხბურთი. ევროპის თასები. 13.15 — ბავშვის საათი (ინგლისური ენის გაკვეთილითურთ). 16.35 — საბავშვო ფილმი „ოპერაცია ზუზუკი" (რუმინეთი, 1985 წ.). 17.40 — ფილმ-კონცერტი. 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.20 — ჟურნალი „ტელეეკო". 18.50 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.35 — უსაფრთხო მოძრაობა. 20.05 — დღეს მსოფლიოში. 20.20 — ახალგაზრდული მოამბე. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „გამოცხადება". II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ვ. მოცარტის ოპერა „ასე იქცევა ყველა ქალი". მილანის თეატრ „ლა სკალას" სპექტაკლი. შესვენებისას — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 10.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.45 — ბუნებისმეტყველება. V კლასი. 9.55 და 11.05 — ესპანური ენა. 10.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.35 და 12.35 — ბიოლოგია. VIII კლასი. 12.05; 15.00 და 18.00 — ახალი ამბები. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „გამხიარულდი". II სერია. 19.15 — სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. 20.00 — სპორტული პროგრამა „არენა". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიათა ფილმები. „სააგარაკო სახლი ერთი ოჯახისათვის". 0.05 — „მინდა გავიგო". ტელეფილმი აკადემიკოს ბ. ვ. რაუშენბახის ბედზე". 01.00 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10523 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ზზ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 13 13 14

XIX